CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა

სამშაბათი, 7 სექტემბერი, 2004 წელი. №207 (4936) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





◎ პარლამენტის თავმჯდომარე

## ეუთოს მონიტორინგი უნდა გაფართოვდეს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ჩვენს ქვეყანაში ვიზიტად მყოფ ეუთოში საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებს შეხვდა.**

შეხვედრა, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, ძირითადად კონფლიქტების მოგვარების საქმეში ეუთოს როლის გაძლიერებას და საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთოს მონიტორინგის მისიის მომავალს ეხებოდა. პარლამენტის თავმჯდომარემ შეხვედრის დასაწყისშივე კიდევ ერთხელ გამოუცხადა სამძიმარი ჩრდილო ოსეთის მოსახლეობას ბესლანის ტრაგიკული მოვლენების გამო. ელჩებთან გამართული საუბრის შემდეგ, ნინო ბურჯანაძემ კომენტარი გააკეთა: „საქართველოს სახელით გამოვხატე მზადყოფნა იმისათვის, რომ ვებრძოლოთ ტერორიზმის ნებისმიერ გამოვლინებას. ვისაუბრეთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოსათვის ეუთოსთან მიმართებაში, რუსულ-ქართულ ურთიერთობაზე, ცხინვალის რეგიონზე, აფხაზეთის პრობლემებზე“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ

იხ. მე-2 გვ.

◎ ვაჟაობა

## ერთი დღე პოეტის საუფლოში





**შაბათს ჩარგალში წინასაიუბილეო, 69-ე „ვაჟაობა“ გაიმართა.**

**სტუმრებმა, ტრადიციულად, ჯერ პოეტის სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს, შემდეგ კი ღია ცის ქვეშ მოწყობილი თეატრონისკენ გადაინაცვლეს.**

სიტყვით გამოსულებმა – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა დავით ბაშალეიშვილმა, დუშეთის გამგებელმა გოდერძი ბერბერაშვილმა, მწერალმა კობა არაბულმა და სხვებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ვაჟას როლი და ადგილი ქართულ მწერლობაში.

საქართველოს ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ღვთისავარ არჩემაშვილმა დამსწრეთ ამცნო, რომ ამ საზოგადოების თაოსნობით თბილისში, ვაკის რაიონში შენდება მემორიალი (ავტორი – ვახტანგ დავითაია), სადაც დაიდგმება მგოსნის ქოხის მაკეტი და გაცოცხლდება ვაჟას სამყარო.

ბატონმა ღვთისავარმა დასასრულს გაგვაცნო ათი საპატიო ჩარგლელის ვინაობა (ხუტა ბერულავა, ვახტანგ დავითაია, გუჯა ბურდული, ღვთისავარ არჩემაშვილი, ვალერიან მამუკელაშვილი, ნუგზარ ნადარაია, ტატა ახალაია, იზა ჯაჭვაძე, კობა არაბული, ივანე ქართველიშვილი).

ზეიმს სიხარული შემატა ოლიმპიური ჩემპიონის ზურაბ ზვიადაურის გამოჩენამ. ყოჩაღი ფოტოგრაფი წლის სარჩოს იშოვიდა, იმდენს უნდოდა მასთან სურათის გადაღება.

ამასთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა მორიდებით შევნიშნო ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზატორებს. პოეტისა არ იყოს, მართლაც „რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისი“, – მაგრამ განა ცუდი იქნებოდა, რომ ორგანიზატორებს ვაჟას „სტუმარ-მასპინძლის“ გმირის შთამომავალი, ათენის ოლიმპიადის გმირი ზურაბ ზვიადაური საპატიო ჩარგლელთა სიაში შეეყვანათ?

ეს ყველას გაახარებდა.

ჯემალ კასრაძე.
ავტორის ფოტო.

იხ. მე-8 გვ.

## ნომერში წაიკითხავთ:

### რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ?



ეს აღწერა დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რადგან ჩვენს ქვეყანაში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იგი პირველად ჩატარდა.

მე-3-6 გვ.

### ქართული და უკრაინული თეატრების დამაკავშირებელი რგოლი



ირინა ლევიტსკაიამ ჩაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, თუ შექმნიდა სურათების სერიას, რომლებზეც აღბეჭდავდა ცნობილ ქართველ მსახიობებს სხვადასხვა როლების შესრულებისას.

მე-5 გვ.

### „სიცოცხლის პროგრამა“



საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებულნი ცხოვრებაში თითქმის ყველაფერს აღწევენ.

მე-6-8 გვ.

◎ დღე პირველი



## იციან, მათი შვილები საიმედო ხელშია

**თუ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ კიდევ არდადეგებია, საბავშვო ბაღებმა კარები უკვე გაუღეს აღსაზრდელებს.**

თბილისის 52-ე საბავშვო ბაღი ერთ-ერთი უძველესია საბურთალოზე. გუშინ მან თავისი 58-ე ნაკადი მიიღო. ლალი ჩალაური 28 წელიწადია აქ მუშაობს, აქედან ბოლო 8 წელიწადი – გამგედ, მაგრამ ყოველი სექტემბერი ისეთივე მღელვარე და სიახლის მომტანია მისთვის, როგორც მაშინ, აქ პირველი შემოსვლის დღეს.

წლეულსაც 200 პატარა მიაბარეს მშობლებმა ქალბატონ ლალის და აქაურ აღმზრდელ-პედაგოგებს, გულდამშვიდებულნი გაუდგნენ გზას – იციან, მათი შვილები საიმედო ხელშია.

**სურათებზე: პედაგოგი ეკა გიორგობიანი და ბაღის გამგე ლალი ჩალაური ახალმიღებულ პატარებთან; აღსაზრდელები.**

ჯემალ კასრაძის ფოტო.



◎ რას წერენ, რას ამბობენ... ჩვენზე

# პუტინი კრიტიკის ქარცეცხლში

### ბესლანის მოვლენები რუსულ და მსოფლიო მასმედიაში

*ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარმა ტრაგედიამ მსოფლიო შეძრა. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითაც კი, ის, რაც რუსეთში მოხდა – ზედიზედ რამდენიმე ტერორისტული აქტი, შემდეგ მძევლებად ბავშვების აყვანა და თანაც ამდენი რაოდენობით – საზღვარგარეთ ძალზე იშვიათად ხდება. სწორედ ამიტომაც იყო გადატანილი მსოფლიო მასმედიის ყურადღება დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილ ქალაქზე.*

რუსი და უცხოელი პოლიტოლოგ-ექსპერტების კომენტარები ბავშვების მძევლად აყვანის პირველივე დღეებში გამოჩნდა, მაგრამ მათი რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა ოთხი სექტემბრიდან, როცა სიტუაცია, სამწუხაროდ, ტრაგიკული ფორმით განიმუხტა. აღსანიშნავია, რომ სამ სექტემბერს, როცა სკოლაში სროლები და აფეთქებები მიმდინარეობდა, ამ პროცესს ამერიკული ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“ რამდენიმე საათის განმავლობაში პირდაპირი ეთერით გადასცემდა, რაც საკმაოდ უპრეცედენტო მოვლენაა. იმავდროულად, რუსული ტელეარხები, „რენ-ტი-ვი“-სა და „ენ-ტე-ვე“-ს გარდა, სრულიად სხვა გადაცემებით იყვნენ დაკავებულნი. ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ენ-ტე-ვე“ გადემოკრატიულდა – აქ სრულიად სხვა ფაქტორი მოქმედებდა: რუსეთის ხელისუფლებამ თავის მოსახლეობას ინფორმაცია შეზღუდვით მიაწოდა, უცხოეთის წინაშე კი თავი მოიწონა – „ჩვენთან მასმედია თავისუფალიაო“.

ასეა თუ ისე, შემზარავი ფაქტი მოხდა, დადგა ანალიზისა და დასკვნების გამოტანის ჟამი. თუ როგორია ეს დასკვნები, ამას 6 სექტემბრის რუსული და უცხოური პრესის მასალები მოწმობს – მათში არის როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი სტატიები, ისე საკმაოდ მწვავე კრიტიკულიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი ჟურნალისტის იური როსტის მიერ **„ნოვაია გაზეტაში“** გამოქვეყნებული მოწოდება **„გაიღვიძეთ! ერთნი გვხოცავენ, მეორენი შეურაცხგვყოფენ!“, „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ – „ბესლანის საშინელი სიმართლე“, „ვედომოსტში“ – „ჩეჩნური პოლიტიკა: ნუთუ სწორი**



**გზით მივდივართ?“** და მრავალი სხვა სტატია, რომლებშიც პირველადაა მკაცრად უარყოფითად შეფასებული პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის კურსი.

რაც შეეხება უცხოურ პრესას: ამერიკული და ევროპული გაზეთების პუბლიკაციათა შეფასებები ერთმანეთის მსგავსია – ვლადიმერ პუტინის პოლიტიკამ კრახი განიცადა. ამას თვითონ სტატიათა სათაურები მოწმობს: ბრიტანულ **„ფაინენშელ თაიმსში“ – „ბესლანი: პუტინი კრიზისის წინაშეა“,** გერმანულ **„დი ველტში“ – „ბესლანის გაკვეთილები რუსეთისათვის“,** ჰოლანდიურ **„დე ტელეგრააფში“ – „პუტინმა, სამწუხაროდ, ვერაფერი ვერ ისწავლა“,** ამერიკულ **„ვაშინგტონ პოსტში“ – „პინოჩეტი და პუტინი“,** პოლონურ **„რეჩ პოსპოლიტაში“ – „რუსეთი – დასავლეთის დანაშაულებრივი პარტნიორი“** და სხვა მრავალი.

ქვემოთ შემცირებით გთავაზობთ რუსულ და დასავლურ პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიის თარგმანს, რომლებშიც, ბესლანში მომხდარი ტრაგედიის ფონზე, საქართველოს შესახებაცაა საუბარი.

იხ. მე-2 გვ.

◎ პოზიცია

## საქართველოს პრეზიდენტის საპროტესტო წერილი

**ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში დაკავებულ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებს – ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძეს გუშინ ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. „რუთავი-2“-ის გადამღებ ჯგუფს საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და სავიზო რეჟიმის დარღვევაში ადანაშაულებენ. მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.**

რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაკავებული ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე მეოთხე დღეა, ფედერალური უშიშროების ვლადიკავკაზის განყოფილებაში იმყოფებიან. წინასწარი დაკავების 48-საათიანი ვადა მათ გუშინ 13 საათზე ამოეწურათ.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს საპროტესტო წერილით მიმართა და ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლების საქმეში პირადად ჩარევისკენ მოუწოდა.

### თხოვნა ელჩებს

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ეუთოს 23 ქვეყნის ელჩებთან შეხვედრაზე საგანგებოდ მიმართა ეუთოში რუსეთის მისიის ხელმძღვანელს ალექსეი ბოროდავკინს, პირადად ჩაერთოს ბესლანში დაკავებული ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლების საქმეში.**

როგორც ბურჯანაძემ გუშინ ელჩებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გადაუგზავნა ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობას სრული ინფორმაცია ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია „არ არის გათვალისწინებული“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა აღშფოთება ბესლანში ქართველი ჟურნალისტების დაკავების გამო. „საქართველოს ხელისუფლება ყველანაირად იკავებს თავს მკვეთრი განცხადებების გაკეთებისგან, რადგან მიაჩნია,



რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ისედაც დაძაბულ ფონზე მიმდინარეობს. თუმცა უმჯობესია, რუსეთის სპეცსამსახურებმა ჟურნალისტების დაკავებიდან აქცენტი სხვა პირების დაკავებაზე გადაიტანონ“ – აღნიშნა მან.

### არამართებულად მიიჩნევენ

**არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების დაკავებას არამართებულად მიიჩნევენ.**

როგორც „ინტერ-პრესს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა მალხაზ ღუღუნიშვილმა განუცხადა, რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურების არგუმენტაცია, რომლის თანახმად, ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძეს შესაბამისი აკრედიტაცია არ გააჩნდათ, ქართველი ჟურნალისტების დაკავების საფუძველს არ იძლეოდა.

რაც შეეხება საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და სავიზო რეჟიმის დარღვევის ბრალდებებს, ღუღუნიშვილის აზრით, „ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვერწმუნოთ „რუსთავი-2“-ის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჟურნალისტები საზღვრისპირა რეგიონში (ყაზბეგში) იყვნენ რეგისტრირებულნი და მათ არავითარი ნორმები არ დაურღვევიათ“.

### ქართული მხარე საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს

**საქართველოს საგარეო უწყება ქართველი ჟურნალისტების დაკავებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ თუ რუსეთის სასამართლო ორგანოები ჟურნალისტების მიმართ უსაფუძვლო გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ქართული მხარე მათი გათავისუფლების მოთხოვნით საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს.**

როგორც გუშინ საქართველოს საგარეო უწყებაში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ აცნობა, პროცესზე რუსეთის სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებს ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძეს თავისუფლების იმ დრომდე აღკვეთა მიუსაჯა, ვიდრე სასამართლო კოლეგია რუსეთის სასაზღვრო უწყებიდან ქართველი ჟურნალისტების მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ლეგალურად გადაკვეთის დამადასტურებელ საბუთებს არ მიიღებს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

### მოითხოვენ პრეზიდენტთან შეხვედრას

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილი 15-მდე შვილმკვდარი ოჯახის წევრი პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას მოითხოვს. აქციის მონაწილეებმა გზა გადაუკეტეს ეუთოში აკრედიტებული ელჩების დელეგაციას, რომელიც კანცელარიასთან გამოჩნდა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ აქციის მონაწილეებმა განუცხადეს, მათი შვილები სხვადასხვა დროს – 1984, 1986, 1989, 1996, 2000, 2001 წლებში დამნაშავეების მიერ არიან მოკლულები, მშობლების არაერთი მცდელობა კი, მკვლელობის საქმეები გახსნილიყო, უშედეგოდ დასრულდა.**

**აქციის მონაწილეთა ნაწილის აზრით, საქმეების გაუხსნელობის მიზეზი ის გარემოებაა, რომ გენერალური პროკურატურის თანამშრომლები შეკრულები არიან დამნაშავეებთან.**

**მანქანებმა, რომლითაც კანცელარიაში საქართველოში ჩამოსული 28 ქვეყნის ელჩი მივიდა, აქციის მონაწილეთა კორდონი გაარღვიეს და ეუთოს დელეგაციის წევრები პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შესახვედრად კანცელარიაში შევიდნენ.**

### სამძიმარი – რუსეთის პატრიარქს

**ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს სამძიმრის წერილი გაუგზავნა.**

**წერილში პატრიარქი მწუხარებას გამოთქვამს იმ ტრაგედიის გამო, რომელმაც მრავალი ბავშვისა და მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. „ამ ტკივილს განვიცდით, როგორც საკუთარს. ტერორიზმს გმობს ყველა რელიგია, სახელმწიფო და ერი, მას არა აქვს გამართლება“, – აცხადებს ილია მეორე.**

**ბესლანში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, საქართველოში მცხოვრები ოსური მოსახლეობის თხოვნით, სიონის საკათედრო ტაძარში ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე) გარდაცვლილთა სულის საოხად პანაშვიდს გადაიხდის.**

### მიმდინარეობს დევნილთა დამატებითი რეგისტრაცია

**საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროში დევნილთა დამატებითი რეგისტრაცია გრძელდება. პანკისის ხეობაში ჩატარებული რეგისტრაციის შედეგად, სავარაუდოდ, დევნილთა სტატუსი ჩეჩნეთიდან დევნილ 1000-მდე მოქალაქეს არ გაუგრძელდება.**

**დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის ლელა მეტრეველის ინფორმაციით, სამინისტროში დაწყებული დევნილთა დამატებითი რეგისტრაცია 10 სექტემბრამდე გასტანს. რეგისტრაცია იმ კატეგორიის დევნილთათვის წარმოებს, რომლებმაც სამინისტროში რეგისტრაცია განსაზღვრულ ვადებში დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გაიარეს. სამინისტროს გარდა, რეგისტრაცია წარმოებს დევნილთა ქუთაისის სამმართველოში, ზუგდიდისა და სენაკის განყოფილებებში და გორში, შიდა ქართლის დევნილთა დეპარტამენტში.**

გვერდზე გამოყენებულია სააგენტო ინტერ-პრესის მასალები.

## ინტერპანორამა

**„ერაყის ისლამურმა არმიამ“ ფრანგი ჟურნალისტების გასათავისუფლებლად შემდეგი პირობები წამოაყენა: უსამა ბენ ლადენის დაზავების წინადადების მიღება; გამოსასყიდი თანხის – 5 მილიონი დოლარის გადახდა, აგრეთვე, ერაყის მთავრობასთან სამხედრო და კომერციულ ურთიერთობათა გაწყვეტა.**



**წითელი ჯვრის ნორვეგიის განყოფილების მუშაკებს ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა მოუხდათ ბევრი ნორვეგიელისთვის, ვინც ბესლანიდან პირდაპირ ტრანსლაციას უყურებდა და გულთან ახლოს მიიტანა რუსეთში დატრიალებული ტრაგედია.**



**თანამგზავრი „ოფეკ-6“, რომელიც განკუთვნილი იყო დაზვერვის მიზნით კოსმოსური ფოტო და ვიდეოგადაღებების, კერძოდ, მოწინააღმდეგის სარაკეტო შეტევების ადრეული შეტყობინებისთვის, თავად განადგურდა გაშვების მესამე საფეხურზე. თანამგზავრის ნაშთები თავისი რაკეტა-მატარებლით ზღვაში ჩავარდა.**



**ისრაელი იპოვის შესაფერის მომენტს და გზას არაფატის გასახლებისათვის, – განაცხადა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფეზმა. მან შეგვახსენა, რომ არაფატის გასახლების გადაწყვეტილება არავის გაუუქმებია.**



CYAN BLACK

◎ პარლამენტის თავმჯდომარე

# ეუთოს მონიტორინგი უნდა გაფართოვდეს

(პირველი გვერდიდან)



მან აქვე აღნიშნა, რომ საქართველოს კატეგორიული მოთხოვნაა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი ეუთოს მხრიდან არათუ გაგრძელდეს, არამედ გაფართოვდეს და ეუთოში საზღვარგარეთის ქვეყნების ელჩებს ამის საჭიროების არგუმენტირებული დასაბუთებაც წარუდგინა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველო დაინტერესებულია, რომ ეუთოს მისია ცხინვალის რეგიონშიც გაფართოვდეს. „უნდა გაკონტროლდეს როკის გვირაბი, რათა საქართველოში არ შემოიტანონ უკონტროლო იარაღი და არ შემოვიდნენ ის პირები, რომლებმაც შეიძლება ნებისმიერი უბედურების პროვოცირება მოახდინონ,“ – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მისი ინფორმაციით, ეუთოს ელჩები ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას, კარგად არიან ინფორმირებული, ასე რომ, მტყუან-მართლის გარკვევა მათ არ უჭირთ და მზად არიან, საქართველოს ხელისუფლებას პრობლემების გადაჭრაში დაეხმარონ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, როკის გვირაბის გაკონტროლებასთან დაკავშირებით საქართველომ თავისი პოლიტიკური ნება გამოხატა, ახლა საჭიროა პროცესის დეტალურად გათვლა-გაწერა. ნინო ბურჯანაძე იმედოვნებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის დოკუმენტაციას და გადაწყვეტილებას სოფიაში, ეუთოს მინისტრების შეკრებამდე მოამზადებენ.

ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად ნინო ბურჯანაძემ აღშფოთება გამოთქვა ბესლანში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფის დაკავების გამო. მან ეუთოს ელჩებს მიმართა, დაინტერესდნენ ჟურნალისტების ბედით და შესაბამისი ზომები მიიღონ მათი განთავისუფლების თაობაზე. „რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებას როგორც ვლადიკავკასში, ასევე მოსკოვში, გაეგზავნა ყველანაირი ინფორმაცია ჩვენი ჟურნალისტების შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ჯერჯერობით განთავისუფლებული მაინც არ არიან. დღეს რუსეთი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და არ მინდა უფრო მწვავე კომენტარის გაკეთება, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს აქცენტი ნანა ლეჟავას ნაცვლად სხვაზე გადაეტანათ“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

◎ პოზიცია

(პირველი გვერდიდან)

მისივე თქმით, სასამართლომ ქართველ ჟურნალისტებს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 322-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენა ბრალი, რაც თავისუფლების ორი წლით აღკვეთას და ფულადი ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს.

ანთაძის თქმით, რუსეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ ქართველი ჟურნალისტების დაკავებასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთის ელჩს საქართველოში უკვე ორი საპროტესტო ნოტის ასლი გადასცა. ამასთან, ქართული მხარე აპროტესტებს როგორც ჟურნალისტების უკანონო დაკავების ფაქტს, ისე სასამართლო პროცესზე მათი ადვოკატების არდაშვებას და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რუსეთში საქართველოს კონსულისთვის დაკავებულებთან შეხვედრაზე უარის თქმას.

ანთაძის ინფორმაციით, დაკავებული ქართველი ჟურნალისტები თავს კარგად გრძნობენ, მათ მიეწოდებათ საკვები და პირველადი მოხმარების ნივთები.

## დაპატიმრება უკანონოა!

**„ინტერნიუს-საქართველო“ პროტესტს გამოთქვამს რუსეთის ტერიტორიაზე ქართველი ჟურნალისტების უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით და საერთაშორისო ორგანიზაციებს სიტყვის თავისუფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირებისკენ მოუწოდებს. შესაბამისი წერილი ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას დაეგზავნება, რომელთა კომპეტენციაში სიტყვის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი მედიის დაცვა შედის.**

ნანა ლეჟავას და ლევან თეთვაძის დაპატიმრების ფორმალური მიზეზი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა გახდა. თუმცა ნანა ლეჟავა და ლევან თეთვაძე საქართველოს საზღვრისპირა ყაზბეგის რაიონში არიან ჩაწერილები და სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების შესაბამისად, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე უვიზო შესვლის და იქ ათი დღის განმავლობაში ყოფნის უფლება აქვთ.

წერილში ასევე აღნიშნულია, რომ დაპატიმრების შემდეგ 12 საათის განმავლობაში არც საქართველოს ოფიციალური პირებისთვის, არც „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობისთვის ჟურნალისტთა ადგილსამყოფელი არ უცნობებიათ. ქართული მხარის არაერთგზის მიმართვა და საპროტესტო ნოტები იგნორირებული იქნა. რუსეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს სიტუაციის ოფიციალურ ახსნა-განმარტებაზე უარი ეთქვათ.

„ზემოთ აღნიშნული ფაქტები საფუძველს გვაძლევს, ვამტკიცოთ, რომ გადამღები ჯგუფის დაპატიმრება უკანონოდ განხორციელდა და მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – ხელი შეეშალათ მუშაობაში ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ობიექტურად აშუქებდნენ ქალაქ ბესლანში მიმდინარე მოვლენებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„ინტერნიუს-საქართველო“ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გადამღები ჯგუფის დაპატიმრებას აფასებს ადამიანის უფლებათა დარღვევად და აქტად, რომელიც სიტყვის თავისუფლების პრინციპებს ეწინააღმდეგება.




**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისგან: დღეს საქართველოს რუსეთის საელჩოსთან ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლების მოთხოვნით ფართომასშტაბიანი აქცია იგეგმება. ჩვენი რედაქციის ჟურნალისტები უერთდებიან ამ სამართლიან მოთხოვნას და მოუწოდებენ თბილისელებს, მონაწილეობა მიიღონ აქციაში.**

◎ პრეზიდენტის საჩუქარი

## „არტეკისკენ“ ჰერი, ჰერი!

**„არტეკში“ ვისვენებდიო, ბავშვობაში ვინმე ჩვენი თანატოლი რომ იტყოდა, მაშინვე მოექცეოდა ყურადღების ცენტრში.**

ყირიმის ლურჯად მოლივლივე ზღვა და კრიალა ზეცა, სუფთა ჰაერი და ულამაზესი ბუნება, მთები და ტყეები, ლაშქრობები და ზღვაზე სეირნობა, ბანაკი თავისი შენობებით – საძინებელი კორპუსებით, საკონცერტო და სპორტული დარბაზებით, კვების ბლოკით, ბიბლიოთეკებითა და გასართობი ატრაქციონებით, ყველაფერ ამას მაგიური სახელი „არტეკი“ ერქვა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული ყოფილი პიონერული ბანაკი „არტეკი“ ბავშვთა დასვენებისა და გაჯანსაღების საერთაშორისო ბანაკია და იქ მოხვედრა კვლავინდებურად ძნელია.

გუშინ რომ ლიახვისა და ფრონეს ხეობიდან 22 ბავშვი ყირიმში, „არტეკში“ დასასვენებლად გაემგზავრა, ეს საქართველოს პრეზიდენტის საჩუქარია ამ ხეობების სკოლების ფრიადოსანი მოსწავლეებისა და ოსურ-ქართულ კონფლიქტში დაზარალებული ოჯახებისთვის.

ხეობელები „არტეკში“ 18 სექტემბრამდე დაისვენებენ.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ ვიდრე სწავლა დაიწყებოდეს...

# სკოლაში დაბრუნებულ მასწავლებლებს სიახლე დახვდათ

**მასწავლებლები სკოლაში დაბრუნდნენ. თითოეულმა მათგანმა უკვე უნდა იცოდეს, რამდენია მისი საათობრივი დატვირთვა, რომელი კლასის მოსწავლეებთან მოუწევს შეხვედრა, რომელ კლასს უხელმძღვანელებს და ა. შ. მათ დახვდათ სიახლე – სკოლის დირექტორი უნდა აირჩიონ.**

იციან, რომ სკოლის დირექტორებს სამეურვეო საბჭოები აირჩევენ. აგრეთვე მათთვის ცნობილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტიც ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც საშუალო სკოლებში მართვის სისტემის ფუნდამენტურ შეცვლას ითვალისწინებს. კერძოდ, სკოლებში სამეურვეო საბჭოები შეიქმნება და ამ საბჭოებმა სკოლის დირექტორები უნდა აირჩიონ. ახალი სასწავლო წლიდან ყველა დირექტორი განთავისუფლდება და აირჩევა ის, რომელსაც სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს. ასე რომ, როცა ქვეყანაში არჩევითობა ინერგება, მით უმეტეს განათლების სისტემაში, ეს, ძველი იდეოლოგიისაგან განსხვავებით, პროგრესული და წინ გადადგმული ნაბიჯია.

რაც შეეხება ახალარჩეულ დირექტორს (ალბათ, ძველი დირექტორი ბევრი არ დარჩება), ამას პირდაპირ თუ ირიბად განაპირობებს თავად სამეურვეო საბჭოების დაკომპლექტების წესიც. სამეურვეო საბჭოში კი შედის სკოლის მოსწავლეთა მშობლების აქტივის მიერ შერჩეული რამდენიმე მშობელი, რომელთა რაოდენობა სკოლის სპეციფიკით განისაზღვრება, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობით. პარალელურად სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სამეურვეო საბჭოსთვის ირჩევს განსაზღვრული რაოდენობის პედაგოგებსაც, სამეურვეო საბჭოში ხვდება რამდენიმე აქტივისტი მშობელი და რამდენიმე სოციალურად აქტიური პედაგოგი, რომლებიც საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით აირჩევენ სკოლის დირექტორს. დირექტორობისათვის მებრძოლმა პრეტენდენტმა კი სამეურვეო საბჭოს უნდა წარუდგინოს სამოქმედო პროგრამა, სადაც აუცილებლად უნდა იყოს მოტივირებული ამა თუ იმ საგნის გაძლიერებული სწავლება და აგრეთვე უნდა ახსნას კიდეც, რატომ არის იგი მისი სკოლისთვის მაინცდამაინც პრიორიტეტული.

... რეფორმას ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს მომხრე და მოწინააღმდეგე, სასიამოვნოა ისიც, რომ საზოგადოებას აინტერესებს განათლება. ყველა დარწმუნებულია, რომ განათლების სისტემა შესაცვლელია, რადგან უნდა მივიღოთ ის, რაც დღეს ქვეყანას და მის საზოგადოებას სჭირდება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა ახალი მოთხოვნის მიხედვით რეფორმა ჩვენი საზოგადოებისათვის მტკივნეული არ აღმოჩნდეს.

ცხადია, არის შიშიც, რადგან წარსულში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული... განათლება ხომ პოლიტიკის ნაწილია და მას მეტი მხარდაჭერა და გააზრებული კომპეტენტური დამოკიდებულება სჭირდება მათგან, ვინც ამ პოლიტიკას მართავს. დღეს სკოლა, მასწავლებლობა (გასათვალისწინებელია მშობლების განწყობაც) მზად არის სიახლის დანერგვისათვის, მაგრამ მას დახმარება სჭირდება.

რა ღირებულებას ეყრდნობა რეფორმა? იცვლება ცოდნის მიღების სტრუქტურა – მოსწავლე სკოლას უნდა ხედავდეს, როგორც ცოდნის მიღების „სასახლეს“. ეს მთავარია! რეფორმის არსში კარგად უნდა გაერკვეს საქართველოს ყველა მოსწავლე და მათი მასწავლებელი, რათა უპასუხოს მთავარ კითხვას: ვინ უნდა გაზარდოს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემამ?

**ნათელა ფაილოძე.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ... ჩვენზე

# ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკა კავკასიაში

„ფაინენშლ ტაიმსი“
(დიდი ბრიტანეთი)

შეშფოთებას იწვევს კავშირი ჩეჩნეთის კონფლიქტსა და მთელს ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში არასტაბილურ ვითარებას შორის: არსებობს მეზობელ სახელმწიფოებზე მისი გავრცელების რისკი. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოსკოვის მოქმედება რეგიონში მოწმობს პოსტიმპერიული სინდრომით დასნეულებული სახელმწიფოს ქმედუუნარობას: რუსეთს სურს, იბატონოს თავის სამხრეთ საზღვრებთან განლაგებულ პატარა სახელმწიფოებზე, განსაკუთრებით – საქართველოზე. მისი შეიარაღებული ძალები კი ღრმა კრიზისმა მოიცვა.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს კონტროლი თავის სამხრეთელ მეზობლებზე, საკმაოდ პროვოკაციული მანერით გამოთქვა ამ ცოტა ხნის წინათ სერგეი კარაგანოვმა, რომელიც ხელმძღვანელობს საშინაო და თავდაცვითი პოლიტიკის საბჭოს – მოსკოვში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ანალიტიკურ ცენტრს. სტატიაში სათაურით „მშვიდობით, საქართველო?“ კარაგანოვი ამტკიცებდა: თუ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა არ დაამყარებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას მოსკოვთან, რუსეთმა უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – საქართველოს ორი მეამბოხე პროვინციის დამოუკიდებლობა. რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩეჩნეთისთვის ავტონომიის მინიჭებას და, ამავე დროს, აქტიურად უჭერს მხარს ცალკეულ სიცოცხლისუუნარო რეგიონებს თავის ფარგლებს გარეთ. ჩრდილოეთ ოსეთში რუსეთის ჯარები იცავენ ქვეყნის სუვერენიტეტსა და კანონიერებას, სამხრეთ ოსეთში კი – სეპარატისტულ რეჟიმს, რომელიც კონტრაბანდით სულდგმულობს.

თვითაღიარებული რესპუბლიკების სამხედრო ფორმირებებს გადაეცემათ შეიარაღება, მათ შორის, რუსული წარმოების „დედამიწა-ჰაერის“ ტიპის და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები. ჯარები, რომლებიც ჩეჩნების წინააღმდეგ იბრძვიან, იარაღით ვაჭრობენ: ამ იარაღის გარკვეული ნაწილი, საბოლოო ანგარიშით, ხვდება მათი მოწინააღმდეგე-სეპარატისტების ხელში.

რუსეთი აწარმოებს საშიშ თამაშს თავის საზღვრისპირა რეგიონებში. როგორც რუსეთის ტელევიზია იტყობინებოდა, შეტაკებებში, რომლებიც მოჰყვა კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აგვისტოში განხორციელებულ მკაცრ ღონისძიებებს, ოს ამბოხებულებს ეხმარებოდნენ აფხაზეთი და დნესტრისპირეთიდან ჩასული „მოხალისეები“. დნესტრისპირეთი კიდევ ერთი უკანონო სეპარატისტული რეგიონია მოლდავეთში, რომელიც არსებობს მხოლოდ რუსეთის მე-14 არმიის დახმარების წყალობით. საქმე აშკარად ეხება ეგრეთ წოდებულ „მცოცავ ანექსიას“.

ამრიგად, ამ კრიზისთან დაკავშირებით, დასავლეთის ქვეყნები არ უნდა გამოეხმაურონ რუსეთის მოწოდებას, რომელიც მოითხოვს სოლიდარობას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, და ამავდროულად დაიცვან რუსეთის საშინაო საქმეებში სრული ჩაურევლობის პრინციპი.





# ბესლანის გაკვეთილი რუსეთისთვის

„ფაინენშლ ტაიმსი“
(დიდი ბრიტანეთი)

პუტინმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ ჩეჩნეთში მის მიერ განხორციელებულმა მკაცრმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ახალგაზრდა ჩეჩენ სეპარატისტებს ტერორისაკენ უბიძგებს. მმართველობის პირველი დღეებიდანვე ჩეჩენთა მოთხოვნას დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ იგი პასუხობდა სასტიკი ძალის დაპირისპირებით. ოთხწლიანი ომის შემდეგ პუტინმა შეძლო დაემყარებინა არამდგრადი კონტროლი რესპუბლიკის ცენტრსა და დაბომბვების შედეგად დანგრეულ გროზნოზე. მაგრამ მოთარეშეებმა ამის პასუხად გადაიტანეს ომი მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში. რიგითი რუსეთელებისათვის, სამწუხაროდ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი ოფიცრის პრეზიდენტობამ, რომელიც აირჩიეს სწორედ იმისთვის, რომ რუსეთში ელცინის ეპოქის ქაოსის შემდეგ აღედგინა კანონი და წესრიგი, გამოიწვია უკანონობის უკიდურესი ფორმების საშინელი ტალღა.

კრემლი უნდა დათანხმდეს კონტაქტს სეპარატისტთა ლიდერებთან და სცადოს, გამონახოს სანდო პარტნიორები მოლაპარაკების პროცესში, რომლებიც დაგმობენ ძალადობას. საერთაშორისო გაერთიანება მზად უნდა იყოს ამ საკითხში რუსეთის დახმარებისათვის. პუტინმა ისიც უნდა აღიაროს, რომ სიღარიბემ შეუწყო ხელი ექსტრემიზმის ზრდას ჩეჩნეთში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში. ეკონომიკის აღდგენისათვის გაწეული ხარჯების ოდნავმა მომატებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი დივიდენდები მოიტანოს.

# ახლა რას მოიმოქმედებს პუტინი?

„კორიერე დელა სერა“
(იტალია)

მაშინ როცა რუსეთში დაღუპულებს გლოვობენ, კრემლის კაბინეტებში უკვე მუშაობენ კავკასიის კონფლიქტის გახსნისათვის გამიზნულ ახალ სტრატეგიაზე.

თავდაპირველად პუტინმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ, ალბათ, კარგი დღე არ დაადგებათ იმ პირებს, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ უშიშროებისათვის. მაგრამ დიდმასშტაბიანი წმენდა არ არის რუსეთის პრეზიდენტისათვის დამახასიათებელი, თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფო მოხელეთა შორის უმაღლეს თანამდებობებზე მრავლად არიან მისი უახლოესი თანამოსაგრეები, რომლებიც შეადგენენ რეჟიმის ხერხემალს. უფრო მოსალოდნელია ის, რაც მოხდა „კურსკის“ ტრაგედიის შემდეგ, ანუ აპარატის უმაღლესი და საშუალო რგოლის კადრების თანდათანობითი ჩამოშორება, აგრეთვე, უშიშროების სისტემის რეორგანიზაცია. პირველი, ვისაც შესაძლოა, დაეკისროთ უმკაცრესი პასუხისმგებლობა, არის ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, აგრეთვე, ელიტური ქვედანაყოფების მეთაურები.

არ არის, აგრეთვე, გამორიცხული, რომ ქვეყანაში კიდევ უფრო შემცირდეს ისედაც აქა-იქ შემორჩენილი დემოკრატიის კუნძულების და თითოოროლა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი.

# ძალადობა და რეპრესიები: პუტინი საკუთარ თავს არ ღალატობს

„ლიბერასიონი“
(საფრანგეთი)

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყველა ღონეს იხმარდა ბავშვების გადარჩენისათვის, მაგრამ მოხდა საზარელი სისხლისღვრა. თუ შეარყევს ყოველივე ეს პუტინის ძალზე მაღალ რეიტინგს (გამოკითხულთა 70-75 პროცენტი მას მხარს უჭერს) კრიზისის მოგვარების დროს დაშვებული საზარელი შეცდომებით შოკირებული მოსახლეობის თვალში? გარდა ამისა, რუსეთის მოსახლეობა ძალზე გატანჯა ჩეჩნეთში მიმდინარე გაჭიანურებულმა ომმაც. თუ არის მზად ჩიხში შესული რუსეთის პრეზიდენტი იმისთვის, რომ შეცვალოს თავისი ჯიუტი და სისხლისმღვრელი პოლიტიკა? შაბათს მის მიერ გაკეთებული განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, იგი კიდევ უფრო აპირებს თავისი გეზის გამკაცრებას: პუტინმა მკვეთრად გაილაშქრა „საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ“.

„ჩვენ გამოვიჩინეთ სისუსტე, სუსტებს კი მუდამ ჩაგრავენ“, – თქვა პუტინმა. ჩეჩნეთში „ძლიერი ხელის“ პოლიტიკის წყალობით ხელისუფლების სათავეში მოსული პუტინი, როგორც ჩანს, სხვა ვერაფერს შესთავაზებს თავის ხალხს, ჯარისკაცის ხიშტით ვითარების „ნორმალიზაციის“ გარდა.



# საბჭოური ეპოქის ნოსტალგია ვერ გააერთიანებს დაშლილ ქვეყანას

„ტაიმსი“
(დიდი ბრიტანეთი)

იმ სამხედრო პასუხის მიუხედავად, რომელსაც შესაძლოა, გეგმავს ბატონი პუტინი ჩეჩენი სეპარატისტების მიმართ, მის წინაშე წამოიჭრა ახალი და კონტროლსდაუქვემდებარებელი სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხე. ჩრდილოეთ ოსეთიდან ინგუშეთსა და ჩეჩნეთში არასანქცირებული შეიარაღებული გამოხდომები სადღეისოდ ყველაზე ნაკლებ საზრუნავს უჩენს რუსეთის პრეზიდენტს, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, რომ მან შეძლოს რუსეთის მთელ სამხრეთ საზღვრებზე ომის გაჩაღების აღკვეთა.

ამიტომ, როცა საერთო-ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ტერორისტების მიზანია „ძმათამკვლელი ომის“ გაჩაღება, ეს არც მოვლენათა გაზვიადება იყო და არც სიურპრიზი. უფრო აღსანიშნავი იყო ის, რომ მან აშკარად გამოთქვა გულისტკივილი: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, – თქვა პუტინმა, – რომ ვერ შევძელით შეგვეგნო იმ პროცესების მთელი სირთულე და საშიშროება, რომლებიც ამჟამად ხდება ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში“.

კიდევ უფრო გამაოგნებელი იყო ის, რომ თავის გამოსვლაში მან მიმართა ისტორიულ ფაქტებს. ამაყად განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციაში შეძლეს „შეენარჩუნებინათ ისეთი კოლოსი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი“, პუტინმა ამით გასცა თავისი ნოსტალგიური გრძნობები, რომლებითაც იგი უფრო მეტად არის განმსჭვალული, ვიდრე მზად არის ეს აღიაროს. მისი ნოსტალგია საბჭოური ეპოქის ზოგიერთი ასპექტის მიმართ კარგადაა ცნობილი და პოლიტიკურად გამჭვირვალეა; ყოველივე ამას იზიარებს მისი მილიონობით ხანდაზმული ამომრჩეველი. მაგრამ მის მიერ გამოთქმული ეს სიტყვები ასხამს წყალს იმათ წისქვილზე, ვინც ადანაშაულებს პუტინს იმაში, რომ მან ბოლომდე ვერ გაიაზრა თანამედროვე სამყაროს ბუნება, რომელშიც პუტინს, მისივე სიტყვების თანახმად, სურს, მიიყვანოს თავისი ქვეყანა, ვერ ჩაწვდა სამყაროს, რომელშიც დემოკრატია, თუნდაც არასრულყოფილი, ავლენს თანხმობის მეშვეობით ქვეყნის მართვის ტენდენციას.

**მოამზადა**
**სიმონ კილაძემ.**

◎ ინფორმაცია

### ვინ აირჩევს აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტს?

**თვითგამოცხადებულ აფხაზეთში 3 ოქტომბრისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 23 სექტემბრისათვის გახდება ცნობილი. ცსკ-ის მონაცემებით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გალის რაიონში მცხოვრები 12 ათასი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას.**

**ცსკ-ის თავმჯდომარის სერგეი სმირის განცხადებით, ამჟამად საუბნო საარჩევნო კომისიებში აქტიური საქმიანობა მიმდინარეობს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის დასადგენად.**

**ერთადერთი, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია, გალის რაიონის აფხაზურ ადმინისტრაციაში ოფიციალურად რეგისტრირებულ დაბრუნებულ დევნილთა რაოდენობაა, რომლებიც ამომრჩეველთა სიებში იქნებიან შეყვანილი. 3 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გალის რაიონში მცხოვრები 12 ათასი დევნილი მიიღებს მონაწილეობას, – განაცხადა დღეს სმირმა, რომლის მონაცემებით, 2002 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში აფხაზეთში მცხოვრებმა 200 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.**

**მისივე მტკიცებით, „პრეზიდენტის არჩევის შესახებ“ კანონის შესაბამისად, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ადგილობრივ ტელევიზიაში თანაბარი საეთერო დრო აქვს გამოყოფილი, თითოეული მათგანი უპრობლემოდ მართავს შეხვედრებს ამომრჩევლებთან, ადგილობრივი ტელევიზია კი კანდიდატთა სარეკლამო რგოლებს უშვებს.**

### თავისას არ იშლიან

**შეიარაღებულმა ოსებმა კიდევ ერთი ქართველი ახალგაზრდა გაიტაცეს, ამჯერად – ახალგორის რაიონიდან. 28 წლის რობიზონ თინიკაშვილი იმ დროს აიყვანეს, როცა იგი მამასთან და თანასოფლელებთან ერთად მთიდან სოფელში, სახლში ბრუნდებოდა.**

**შეიარაღებულმა ოსებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს რობიზონ თინიკაშვილის მამას, 56 წლის არსენ თინიკაშვილს და მის თანმხლებ პირებს. არსენ თინიკაშვილს დანით ფეხში დაჭრეს, როცა მან შვილის გატაცებისას წინააღმდეგობის გაწევა სცადა.**

**გატაცებულის ახლობლებმა უკვე მიმართეს მცხეთა-მთიანეთის პოლიციას, თუმცა ჯერჯერობით გატაცებულის ადგილსამყოფელი ცნობილი არ არის.**

**სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ძალოვანები აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.**

**გასული კვირის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში ქართველი ახალგაზრდების გატაცების ორი შემთხვევა დაფიქსირდა. ორივეს ოსმა სამართალდამცველებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ თუ კაცი გონიერია...

# მიწის შვილები



**ვეღარ მოვიცილეთ უგზოობის, უშუქობის, უწყლობის პრობლემები.**

**განსაკუთრებით უჭირთ სოფელ ადგილებში; იმიტომაცაა, რომ იქაურმა მაცხოვრებლებმა თავის გადასარჩენად თბილისს მოაშურეს.**

**ამას წინათ, „საქართველოს რესპუბლიკაში" ჩვენი კოლეგის ვრცელი წერილი დაიბეჭდა, სადაც საუბარია სწორედ იმ ხალხზე, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქში ჩამოვიდნენ, საბურთალო-დიდუბის ხიდის ბოლოში „დგანან და ელიან"... საქმეს. მეტად აქტუალური თემაა.**

მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, მიწას რომ არ გამოექცნენ, მამაპაპისეულ კარმიდამოს არ შლიან, მტერს თვალს უყენებენ, ხოლო მოყვრისთვის ღია აქვთ ჭურ-მარანი. როგორ არ არიან! აგერ, ბატონო, ჩემი ბიძაშვილი, გორისელი კაცი თამაზ გომართელი. რახან ახლობელია, ვითომ უხერხულია მასზე და მის ოჯახზე საუბარი? არა მგონია, რადგან, ჩემი აზრით, სწორეთ ასეთი ოჯახები სჭირდება დღეს სოფელს, ანუ მთელ საქართველოს.

... თამაზი საჩხერის რაიონის სოფელ გორისაში დაიბადა და დაკაცდა, შეიძლება ითქვას, დაბადებიდანვე მუხლჩაუდრეკლად შრომობს.

58 წლისაა, ზორბა ტანის, ერთი შეხედვით ტლანქი, მაგრამ სიკეთით სავსე, ენაწყლიანი, იმერული იუმორით მადლცხებული. მტკიცე სიტყვის პატრონია, მიწის შვილია და ერთ-ერთი ფეხმოკიდებული მაცხოვრებელი რაიონში.

შუშანა, მისი მეუღლე, რომ იტყვიან – საქმეს მუჭაში იჭერს.

– ასეთი დაუღალავი ქალი არ მინახავს. ისე, ბოლო ხანებში ავადმყოფობას კი უჩივის, მარა მუშაობის დროს არაფერს იტკივებს და ღამე იკვნესოს რამდენიც უნდა! – ხითხითებს თამაზი და თვალებში შუქჩამდგარი შესცქერის მეუღლეს.

ოცდათვრამეტი წელია, რაც ერთად ცხოვრობენ. სამი შვილი ჰყავთ – ჯონი, გოჩა და ლალი, რომელიც თავის ქმარ-შვილთან ერთად სურამში ცხოვრობს.

– აღარც კი მახსოვს, როდის დავიწყე შრომა. ჩემი მშობლები ოლია და გრიშა პატიოსანი, კეთილშობილი ხალხი იყო და როგორც გაწვრთნენ, ისე შექმნეს ოჯახი. მეც ბავშვობიდან ვაზიარე საქმეს შვილები. შესაფერი სწავლა-განათლება მიიღეს და საქმეც შეიყვარეს. ჯონი ისტორიკოსია, ერთხანს სოფლის საშუალო სკოლაში მუშაობდა დირექტორის მოადგილედ, ავღანეთის ომმოვლილია.

– ჩემ ცხოვრებაში, ყველაზე მძიმე ის ორი წელი იყო, როდესაც ჯონი ავღანეთში იბრძოდა. არ მინდა მაგის გახსენება! – ნაღვლიანად მეუბნება თამაზი და ნერვიულად წიწკნის ბალახს.

გოჩაც ჯარმოვლილია, უნივერსიტეტი დაამთავრა – ინჟინერ-ეკონომისტია.

ერთხანს თავიანთი სპეციალობით იმუშავეს ბიჭებმა და მერე საფუძვლიანად ჩაებნენ თავიანთი სახლკარის და მეურნეობის მოგვარების რთულ საქმეში.

– ჩვენთან, ოჯახში, ყველას თავისი საქმე აქვს გაპიროვნებული. შვილიშვილი რომ შვილიშვილია, ისიც გვეხმარება თავისებურად. ჩემი რძლები – ლელა და ნატო ხომ თავაუღებლად შრომობენ.

შვილიშვილი კი ექვსი ჰყავთ, როგორი ძალაა? სულ ათი სული ცხოვრობს ოჯახში. გამთენიას ილვიძებს სახლი და ყველა თავის საქმეს ეკიდება.

მამაპაპისეული საცხოვრებელი აღადგინეს, გააფართოვეს, გაალამაზეს. ახალი ორსართულიანიც ჩადგეს ეზოში. ჭურ-მარანი, სასიმინდე და კიდევ რამდენი დამხმარე სათავსოები სჭირდება ჯალაბს, საქონლისთვისო, ფრინველისთვისო...

სარწყავად, სასმელად სამი ჭა აქვთ გაჭრილი.

– ჰექტარ-ნახევარი მიწა მაქვს მოზომილი. აქედან ნაწილი ეზო-ბაკეს უკავია. დანარჩენში კი მოსავალი მომყავს. ათას ორასი ძირი ვენახი მაქვს ჩაყრილი, მარტო ძველშავი და ქვიშხურა. სიმინდის ყანები, კარტოფილი, ლობიო, ნიორი, ხახვი, კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, ყველანაირი მწვანილეული... ჭურებში ტონა ნოეს ვაზის ნაჟურს ვასხამ, ყველას კი არ დაელევინება ის ღვინო. ისე, ჩვენში დარჩეს, სახარჯო ღვინოც მიყენია – აუცილებელია ოჯახში. სათხოვარი არაფერი მაქვს. ასი კაცი რომ დამადგეს თავზე, სახლიდან არ გავალ – ნატვრის სუფრას გავშლი, აბა! – სიამაყით, ღიმილით მესაუბრება ოჯახის თავკაცი.

– ნუ ტრაბახობ, თუ ძმა ხარ! – ვეკამათები.

– ნამდვილს გეუბნები, დამესხი თავს შენი მეგობრებით და ნახავ ასე თუ არ არის!

ვიცი, ეს ყველაფერი ვიცი!

შვილებიც მას გვანან, შრომაშიც, საქმიანობაში, მეგობრებისა და ნათესავ-ახლობლების სიყვარულში. მოკრძალებულები არიან და იშვიათად გაიგებ მაგათ ხმამაღალ საუბარსა და კამათს.

ეზოში, მსუბუქ მანქანასთან ერთად, „ბელორუსიც" უყენიათ.

– ეს დალოცვილი თორმეტ ოპერაციას აკეთებს, ჩემი მშველელი და იმედია, – ამბობს თამაზი და ფრთაზე ხელს უტყაპუნებს მანქანას. – მაგრამ კაცის გარჯასა და შრომას ვერაფერი შეცვლის. ოჯახის და გვარის პატივისცემამ უნდა გაგაკეთებინოს კეთილი საქმე. მეორე სახლს რომ ვაშენებდით, გამუდმებით დაგვტრიალებდნენ თავზე მერცხლები, ალბათ მამაჩემი გვიგზავნიდა ლოცვა-კურთხევას.

... ჩემო თამაზ! მარჯვენა ხელის ხმარება არ მოგშლოდეს, საქმის კეთების უნარი არ წაგრთმეოდეს!

**გურამ გომართელი,**
**„სრ" სპეც. კორ.**
**საჩხერე-თბილისი.**

**სურათებზე: ოჯახის თავი ვენახის თავში; სამუშაო დღე იწყება; თამაზის ჯალაბი.**

**ავტორის ფოტოები.**





⊙ კომპეტენტური აზრი

# წყნეთში მიწის გადასახადი უფრო იაფია, ვიდრე... გლდანში!

**პატივცემულო რედაქციავ! ამ წერილით, უპირველეს ყოვლისა, დედაქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელებს მივმართავ.**

**2004 წლის 10 აგვისტოს ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე გამოსვლის უფლება, წინასწარი განცხადების მიუხედავად, არ მომეცა. ამთავითვე გამოვხატავ ჩემს გაკვირვებას, – დღევანდელი საჯაროობის ფონზე საკრებულოს სხდომაზე სპეციალურად მისულ არასამთავრობო ორგანიზაციის – საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს საკონსულტაციო გამოსვლა ამეკრძალა! ნუთუ არ აინტერესებდათ რის თქმას ვაპირებდი? საქმე კი მეტად მნიშვნელოვან საკითხს, – დედაქალაქში არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის შემოღებას ეხება.**

ამთავითვე გავემიჯნები პოპულიზმს, – ურბანული მიწა, სხვათა შორის, ისევე, როგორც სხვა უძრავი ქონება, უთუოდ უნდა დაიბეგროს. მაგრამ, თუ როგორ – ამას საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი დოკუმენტი – „ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიწის გადასახადის ტერიტორიული კოეფიციენტები და მიწის გადასახადის განაკვეთები, ქვეზონების მიხედვით", სრულფასოვნად ვერ პასუხობს.

მოკლედ ავხსნი პრობლემის არსს. კანონმდებლობით დადგენილია ურბანულ მიწაზე ე. წ. „საბაზისო" გადასახადი, რომელიც წელიწადში შეადგენს 24 თეთრს ერთ კვადრატულ მეტრ მიწაზე. ეს ციფრი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე, რომელიც, ბუნებრივია, თბილისის სხვადასხვა უბნებისთვის განსხვავებულია. მაგალითად, ვერაზე კოეფიციენტი მაქსიმუმს – 1,5 შეადგენს, ხოლო გლდანში ის 0,6-ით გამოიხატება. ე. ი. ვერელი წელიწადში მიწის ერთ კვადრატულზე გადაიხდის 36 თეთრს, ხოლო გლდანის მცხოვრები – 15 თეთრს (თუმცა, არითმეტიკული გაანგარიშებით უნდა იყოს 14,4 თეთრი).

მაგრამ ეს უზუსტობა არ არის მთავარი. აი, რაც მთავარია ამის თაობაზე, სამწუხაროდ, მიწევს საკრებულოს წევრების და თბილისელების შეწუხება. საქმე ის არის, რომ ქალაქის ამა თუ იმ ტერიტორიისთვის გადასახადის დაწესებისას გათვალისწინებულია არა მარტო ამა თუ იმ მონაკვეთის მდებარეობა, არამედ, ფუნქციაც – არსებულიც და სამომავლოც. განა მოსაწონია, რომ გამართული წარმოება და უმწეო პენსიონერი თანაბრად იხდიდეს გადასახადს? საზოგადოდ, ფიზიკური და იურიდიული პირების გადასახადი განსხვავებული უნდა იყოს. მეტიც, ამ შემთხვევაშიც შემოსაღებია დიფერენცირება – კომერციული და არასამეწარმეო ორგანიზაციებზე გათვლით.

რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია დაბა წყნეთისთვის ყველაზე დაბალი კოეფიციენტის – 0,5 თეთრის დაწესება, ვიდრე, ვთქვათ, გლდანისთვის, „აფრიკისთვის" თუ „დამპალოსთვის". არგუმენტი – წყნეთში დევნილთა დიდი რაოდენობა აბსოლუტურად უსახსროაო, არ გამოდგება.

მათ გარდა, წყნეთში სხვა კატეგორიის მოსახლეობა და მოაგარაკენიც ცხოვრობენ. შემოსავალიც კარგი აქვთ – ძირითადად, სახლების გაქირავებისგან. დევნილთა საკითხი აქ ცალკე უნდა გამოიყოს, მისი გადაწყვეტის სხვადასხვა ფორმა მოიძებნება – მთავარია, ამის სურვილი იყოს.

ცუდია, როდესაც ქალაქში ერთმა ხელმა არ იცის, მეორე რას აკეთებს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ის რევოლუციური კამპანია, რომელიც გასაშლელი გვაქვს მრავალბინიან სახლებში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებისა და კონდომინიუმების ჩამოსაყალიბებლად. თუ პირველი ამ ცნებათაგანი მეტ-ნაკლებად გასაგებია ყველასთვის, კონდომინიუმის კიდევ ერთხელ განმარტება ზედმეტი არ იქნებოდა: მარტივად რომ ვთქვათ, კონდომინიუმი არის უძრავი ქონების კომპლექსი, რომელიც აერთიანებს მრავალბინიან სახლებში ბინისა და არასაცხოვრებელი ფართით მესაკუთრეთა ინდივიდუალურ საკუთრებას (ბინა, მაღაზია, ბანკი, ოფისი, საპარიკმახერო და ა. შ.) და საერთო წილად საკუთრებას – როგორც თვით შენობის ფარგლებში, ისე ეზოს ან მიმდებარე ტერიტორიას.

აი, აქ მივადექით პრობლემას. ჩვენში, ძირითადად, მოსახლეობის ფინანსური შესაძლებლობებისა და, რაც გადამწყვეტია, – ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნის მიუხედავად, ძალიან ძნელად იკიდებს ფეხს. ამ ვითარებაში ქართულ-გერმანული პროექტი „მიწის მენეჯმენტი", რომლის პარტნიორები არიან გერმანული მხრიდან ცნობილი ორგანიზაცია GTS, ხოლო საქართველოდან, შესაბამის სამინისტროსთან ერთად, თბილისის მიწის მართვის და არქიტექტურის სამსახურები, ახორციელებს მრავალბინიანი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების გამიჯვნა-მიკუთვნების საცდელ სამუშაოებს, ხოლო საბურთალოს ერთ-ერთ კორპუსში – კონდომინიუმის ჩამოყალიბების ეგრეთ წოდებულ პილოტპროექტს.

ამ ვითარებას დეტალურად იმის გამო აღვწერ, რომ ყველა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, მიწის გადასახადების თვალსაზრისით, სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც. ამგვარი შეღავათების უქონლობა თბილისში, მერწმუნეთ, მნიშვნელოვნად დააბრკოლებს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებას.

ერთი სერიოზული შენიშვნაც. წარმოდგენილი შინაარსითა და სახით ფისკალური ზონირება ვერ პასუხობს საქართველოში, კერძოდ, თბილისში, უკვე ათვისებულ მეთოდოლოგიურ და ინფორმაციულ დონეს. იგულისხმება, რომ დღეს, იმავე GTS-ს პროექტმა უკვე შეიმუშავა და ქალაქს გადასცა „თბილისის მიწების ფასების ატლასი", რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს დედაქალაქის ფისკალურ ზონირებას.

– ვფიქრობ, ეს მოთხოვნა დამატებით არგუმენტაციას არ საჭიროებს. გარდა ამისა, ტარდება თბილისის მიწის კადასტრის სამუშაოები. წარმოუდგენელია, რომ დღეს ნებისმიერი ზონირება კადასტრის გაუთვალისწინებლად, გეოინფორმაციული სისტემების მოუშველიებლად შედგეს.

ყოველივე ზემოხსენებული მარწმუნებს, რომ ფისკალური ზონირება ჯერჯერობით ვერ გახდა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც უნდა წარმართოს თბილისის ქალაქგანვითარების პოლიტიკა. საკმარისია დავასახელოთ რუსეთის პრაქტიკა: იმ შემთხვევაში, თუ მენაშენე, ნორმატიული ვადის გასვლის შემდეგ, არ აწარმოებს განაშენიანებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოებს, მასზე დაწესებული გადასახადი 4-ჯერ იზრდება. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ურბანული მიწის ნაკვეთების შეძენა მხოლოდ კაპიტალის დაბანდების საშუალება არ გახდეს.

ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაში დედაქალაქის არქიტექტურული სამსახური სისხლხორცეულად უნდა იყოს დაინტერესებული. მეტიც, ის ნებისმიერი სახის ზონირების ინიციატორად და დამმუშავებლად უნდა მოგვევლინოს.

აი, ამ აზრების გაზიარება მსურდა ქ. თბილისის საკრებულოსთვის. არ მეღირსა. გამიკვირდა. რაღა დროს ავტორიტარიზმია?!

**ლადო ვარდოსანიძე,**
**სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის ურბანისტიკის კათედრის პროფესორი, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.**

⊙ ინფორმაცია

## წყალტუბოდან – ქუთაისში

**იმერეთში დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას ელიან. ერთდღიანი ვიზიტის ფარგლებში პრემიერი წყალტუბოს და ქუთაისს ეწვევა, დაათვალიერებს სამრეწველო ობიექტებს, შეხვდება მოსახლეობას.**



**წყალტუბოში ზურაბ ჟვანია დაათვალიერებს სანატორიუმებს, განიხილავს ქალაქის საკურორტო ზონის პრობლემებსა და პერსპექტივებს.**

**საღამოს პრემიერი სამხარეო ადმინისტრაციის სხდომას დაესწრება, იმერეთის ქალაქებისა და რაიონების მერებსა და გამგებლებს შეხვდება.**

**პრემიერ-მინისტრი თბილისში დღესვე დაბრუნდება.**

## მეორე მითითება

**სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ ქართულ მხარეს კიდევ ერთი რეკომენდაცია გამოუგზავნა. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროსასამართლო ურჩევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, 27 სექტემბრამდე გადახედოს მირცხულავას საქმეს და მისი საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი გადაწყვიტოს.**



**როგორც „ინტერ-პრესს" დაკავებულის ადვოკატმა ეკა ბესელიამ განუცხადა, მირცხულავას პენიტენციალური სისტემის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ პირველი რეკომენდაცია ქართულ მხარეს სტრასბურგიდან გასულ თვეში გადმოეგზავნა. აგვისტოში აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულდა, რადგან იუსტიციის სამინისტროს შეფასებით, მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო და მას ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მკურნალობა არ ესაჭიროებოდა.**

**მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაკავებულის ადვოკატებმა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში 30 აგვისტოს გადააგზავნეს, რის შემდეგაც საქართველოს მეორე მითითება გამოეგზავნა.**

**დღეის მონაცემებით, მირცხულავა თბილისის №7 საპყრობილეში იმყოფება.**

## ითხოვენ დანაპირების შესრულებას

**მიწისძვრით დაზარალებული თბილისელები საქართველოს პრეზიდენტისგან საკომპენსაციო თანხის გაცემას მოითხოვენ. გუშინ 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრით დაზარებული 300-მდე თბილისელი სახელმწიფო კანცელარიასთან შეიკრიბა და მიხეილ სააკაშვილს ის დაპირება შეახსენა, რომელიც მან დაზარალებულ მოსახლეობას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს მისცა.**

**„საქართველოში ფორს-მაჟორული და სხვადასხვა სიტუაციების დროს დაზარალებულთა საზოგადოების" თავმჯდომარის მზია ლომოურის განცხადებით, აქციის მონაწილეები აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ „პრეზიდენტმა დაივიწყა როგორც მიწისძვრით დაზარალებულთათვის მიცემული დაპირება, ისე მათთვის კომპენსაციის დარიგებასთან დაკავშირებით 2003 წლის 20 ივნისს მის მიერვე შემუშავებული სპეციალური წესდება".**



**მიუხედავად დაზარალებულთა არაერთი მცდელობისა, ამ წესდების შესაბამისად კომპენსაცია მიეღოთ, თბილისის მერია მათ პასუხს არ სცემს და ხელს კანცელარიისკენ იშვერს. მერიაში აცხადებენ, რომ წესდების შესაბამისად კომპენსაციის გაცემას მხოლოდ პრეზიდენტისგან შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში დაიწყებენ.**

**მიწისძვრით დაზარალებულები აცხადებენ, რომ ამ დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში სახელმწიფო კანცელარიასთან მიმდინარე საპროტესტო აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ სტატისტიკა

# რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ

**დამთავრდა საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგების დამუშავება, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე ოთხ ტომად (მათ შორის, მესამე ტომი – ორ ნაწილად) გამოაქვეყნა. საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შედეგები ასე მოკლე ვადაში და ასე ვრცელი პროგრამით ჯერ არ დამუშავებულა და გამოცემულა. მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, დეპარტამენტმა შეძლო არა მარტო აღწერის შედეგების ორგანიზება მაღალ დონეზე, არამედ მან ასევე დიდი მუშაობა ჩაატარა აღწერის შედეგების დამუშავების მეთოდოლოგიური ბაზის შესაქმნელად, რამაც საბოლოოდ უზრუნველყო მრავალმხრივი, ტევადი და სარწმუნო ბაზის შექმნა და მისი საზოგადოებისათვის დროულად მიწოდება. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავება და გამოქვეყნება თუ დროულად ვერ მოხერხდა, მაშინ საგრძნობლად უფასურდება მათი შემეცნებითი მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი ცნობა ძველდება.**

მოსახლეობის 2002 წლის აღწერა დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რადგან ჩვენს ქვეყანაში, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, იგი პირველად ჩატარდა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ეს აღწერა დაემთხვა ახალი, მესამე ათასწლეულის დაწყებას და აღწერის მონაცემები მომავალი თაობებისათვის დარჩება სამუდამო დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ბაზად.

მოსახლეობის აღწერის შედეგების პირველი ტომი მონაცემთა მეტად ფართო სპექტრს მოიცავს. აღწერის მომზადება-ჩატარების საკითხებთან ერთად ტომში მოცემულია მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობისა და მოსახლეობის სქესის, ასაკის, ეროვნების, მოქალაქეობის, სარწმუნოების, ქორწინებისა და განათლების შესახებ.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრობდა 4 371 535 კაცი, ხოლო 1989 წელს იმავე ტერიტორიაზე – 4 803 310 კაცი. ამ პერიოდში ქვეყნის კონტროლირებადი ტერიტორიის მოსახლეობა 431 775 კაცით შემცირდა, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში 379 612 კაცი წავიდა.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერამ, სამწუხაროდ, ვერ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია, რის გამოც შეუძლებელია მოსახლეობაში მომხდარი ცვლილებების სრულყოფილი ანალიზი. მიუხედავად ამისა, ექსპერტული შეფასების, სხვადასხვა ცნობისა და გაანგარიშების საფუძველზე დავადგინეთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, რაც, ვფიქრობთ, რეალურ სინამდვილეს ასახავს. კერძოდ, 2002 წელს აფხაზეთში 180 ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო ცხინვალის რეგიონში – 50 ათასი კაცი. ამ მონაცემების გათვალისწინებით მთლიანად საქართველოს მოსახლეობამ 4 601 534 კაცი შეადგინა, ნაცვლად 5 400 841 კაცისა 1989 წელს. ამრიგად, საქართველოს მოსახლეობა 12 წლის განმავლობაში 799 307 კაცით შემცირდა. სათანადო გაანგარიშების საფუძველზე ამ პერიოდში საქართველო დატოვა და სხვა ქვეყნებში მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით 977 ათასი კაცი, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე მცხოვრები.





რეგიონების მიხედვით მოსახლეობის კლება ყველაზე მეტად ქვემო ქართლის მხარეში აღინიშნა (18,2 პროცენტით), ხოლო ყველაზე ნაკლებად – შიდა ქართლის მხარეში (2,4 პროცენტით). იძულებით ადგილნაცვალ პირთა ჩასახლების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა მხოლოდ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში (9,7 პროცენტით) გაიზარდა. როგორც წინა აღწერის, ისე 2002 წლის აღწერის დროსაც, თბილისის შემდეგ, ყველაზე მეტი ადამიანი იმერეთის რეგიონში ცხოვრობდა (700 ათასი), 203 ათასი ადამიანით მეტი, ვიდრე ამ მაჩვენებლის მიხედვით მესამე ადგილზე მყოფ ქვემო ქართლის რეგიონში.

აღწერებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად – 707 ათასი კაცით შემცირდა ქალაქის მოსახლეობა (23,6 პროცენტით), სოფლის მოსახლეობა – 323 ათასი კაცით (13,4 პროცენტით). ამის შედეგად შეიცვალა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. ქალაქის მოსახლეობის წილი 55,4 პროცენტიდან 52,3 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო სოფლის მოსახლეობისა 44,6 პროცენტიდან 47,7 პროცენტამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ხუთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქიდან (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, ფოთი) მოსახლეობის კლება ყველა ქალაქში აღინიშნა, მათ შორის ყველაზე დიდი რაოდენობით – ქ. რუსთავში (26,8 პროცენტით), ხოლო ყველაზე ნაკლები – ქ. ფოთში (6,9 პროცენტით). ქვეყნის იურისდიქციაში მყოფი 65 რაიონიდან აღწერებს შორის პერიოდში (1989-2002 წწ.) მოსახლეობა მხოლოდ 11 რაიონში გაიზარდა (აბაშა, ბაღდათი, ზესტაფონი, ზუგდიდი, თერჯოლა, მცხეთა, საჩხერე, წალენჯიხა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი). ამასთან, 65 რაიონიდან სოფლის მოსახლეობა 25 რაიონში გადიდდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა – მხოლოდ 8 რაიონში.

უაღრესად განსხვავებული მაჩვენებლით ხასიათდება მოსახლეობის სიმჭიდროვე რაიონების მიხედვით. კონტროლირებად ტერიტორიაზე ერთ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 72,8 კაცი ცხოვრობს, აჭარაში ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია – 129,7, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე დაბალი – 10,3. ბათუმში მოსახლეობის სიმჭიდროვე 7 294 კაცს, ხოლო თბილისში 4 426 კაცს უდრის. რაიონებს შორის ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ზუგდიდის (347), ხოლო ყველაზე დაბალი – ყაზბეგისა (4,9) და ონის (5,4) რაიონებში.

არსებითი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. 2002 წელს ქართველების რაოდენობამ კონტროლირებად ტერიტორიაზე 3 661 173 კაცი შეადგინა, ნაცვლად 3 538 909 კაცისა 1989 წელს. ამდენად, ქართველების რაოდენობა აღწერებს შორის პერიოდში 122 264 კაცით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან განდევნილი მოსახლეობის კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართველების საცხოვრებლად გადმოსვლამ. ამ მოვლენამ და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ინტენსიურმა მიგრაციამ საზღვარგარეთის ქვეყნებში ძირითადად განაპირობა ის, რომ ქართველთა წილი მთელ მოსახლეობაში ამაღლდა და მან კონტროლირებად ტერიტორიაზე 83,8 პროცენტი შეადგინა. მთლიანად საქართველოში 2002 წელს, როგორც კონტროლირებად, ისე არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, 3 724 173 ქართველი ცხოვრობდა და მათი რიცხვი 1989 წელთან შედარებით 63 220 კაცით შემცირდა. ამ პერიოდში, თუ გავითვალისწინებთ ქართველთა ბუნებრივ მატებას, საზღვარგარეთ სულ 280 ათასი ქართველი წავიდა საცხოვრებლად.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ რუსი პოლიტიკოსები ხშირად წინასწარგანზრახულად, განგებ ამახინჯებენ რუსეთში მცხოვრები ქართველების რაოდენობას და აღნიშნავენ, რომ რუსეთში ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს და ისინი ჩვენს ხარჯზე ინახავენ თავიანთ ოჯახებს საქართველოშიო. რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე, რუსეთის მოსახლეობის აღწერა, რომელიც 2002 წელს ოქტომბერში ჩატარდა, გვიჩვენებს, რომ რუსეთში 198 ათასი ქართველი ცხოვრობს და 1989 წელთან შედარებით მათი რაოდენობა მხოლოდ 67 ათასი კაცით გაიზარდა (Основные итоги Всероссийской переписи населения 2002 года, М., с. 13). ეს ზრდა უმნიშვნელოა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ძირითადი ეროვნებების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად, რუსეთის იმავე 2002 წლის აღწერით, რუსეთში 1 130 ათასი სომეხი და 621 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა 1989 წელს შესაბამისად 532 ათასსა და 356 ათას კაცს უდრიდა. მიუხედავად ამისა, რუსი პოლიტიკოსები, თავიანთი იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, აქცენტს მხოლოდ ქართველებზე აკეთებენ. მართალია, ქართველების გარკვეული რაოდენობა ცხოვრობს რუსეთში და ისინი მატერიალურ დახმარებას უწევენ თავიანთ ოჯახებს საქართველოში, მაგრამ ქართველები რუსეთში ქმნიან მატერიალურ დოვლათს, იხდიან გადასახადებს და რუსეთის ბიუჯეტის შევსებაში თავიანთი მოკრძალებული წვლილიც შეაქვთ. ამასთან, როგორც საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ გვიჩვენა, საზღვარგარეთ მყოფთა მხოლოდ 41,1 პროცენტი უწევს დახმარებას საქართველოში დარჩენილ ოჯახებს და 7 პროცენტი, პირიქით, ოჯახიდან იღებს დახმარებას. ასე რომ, არავითარი ასი ათასობით, მით უმეტეს, მილიონი ქართველი რუსეთში არ ცხოვრობს და, მაშასადამე, არც მუშაობს. საბჭოთა პერიოდში, ათეული წლების განმავლობაში, რუსეთში დაახლოებით 100 ათასი ქართველი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში – თითქმის 400 ათასი რუსი, მაგრამ ამის შესახებ არც ერთ ქართველს არაფერი უთქვამს. დასაყვედრი, რბილად რომ ვთქვათ, არაფერი გვაქვს.

იხ. მე-6 გვ.

„სტაჟიანი“ დაზარალებულები

# „ძლივსაშენდას“ ეპოქის დასასრული?!

**ბოლოდროინდელი მოვლენებით, პოლიტიკური კატაკლიზმებითა თუ სტიქიით — მიწისძვრით, წყალდიდობით, მეწყერით დაზარალებულთა, ასევე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა შორის, რომლებიც სადღეისოდაც უბინაოდ არიან დარჩენილნი, ყველაზე „სტაჟიანები“ კოოპერატიული ბინათმშენებლობის მსხვერპლნი გახლავან.**

**ამ პირთა ბინის პრობლემის დღემდე მოუგვარებლობის მიზეზები ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის მსხვრევაში, შემდგომ კი, ჩვენთან განვითარებულ მოვლენებსა და პროცესებში უნდა ვეძიოთ. თუმცა ახლა ამის გარკვევას უჭეროოდ დარჩენილი ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.**

**ასეა თუ ისე, თავის დროზე მრავალმა ოჯახმა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გადაწყვიტა. ყოფილი რეჟიმის პირობებში სახელმწიფოსგან ბინის მიღება „გრძელი სიმღერა“ იყო, ამიტომ ბევრს ამის გაკეთება საკუთარი სახსრებით უნდოდა. არადა, საქმე ისე აეწყო, რომ ვერც ბინები აიშენეს და ბანკებში ამ მიზნით შეტანილი ფულიც ვეღარ დაიბრუნეს.**

**ამჟამად ქვეყანაში ასეთი დაახლოებით შვიდი ათასზე მეტი ოჯახია (აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა გარდა), რომელთა ინტერესებს იცავს საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაცია. მისი პრეზიდენტია ნანა წიქარიშვილი.**

## სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს...

— კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში დაზარალებულები ისინი არიან, ვინც 1987 წლიდან მოყოლებული ბანკში შეიტანა კოოპერატიული ბინის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი თანხა, რის შემდეგ სახელმწიფომ მა-



თი ბინით უზრუნველყოფა იკისრა, თუმცა დანაპირები ვერ შეასრულა, — ამბობს ქალბატონი ნანა წიქარიშვილი. — შემდგომ, ქვეყანაში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოშობილი პრობლემების მოსაწესრიგებლად, 1998 წლის 5 მარტს მიიღეს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“, რომლის თანახმად კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარეს.

1999 წლის 12 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის №592 ბრძანებულებით დადგინდა, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალი მთლიანად უნდა დაიფაროს 2005 წლის დამლევისთვის.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესიც შეიმუშავა.

უწინ კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში ასეთი წესი იყო: ბინის ღირებულების ნაწილს, ჩვეულებრივ, თანხის ნახევარს, კოოპერატივის წევრი თავიდანვე იხდიდა, ხოლო დანარჩენს — წლების განმავლობაში ფარავდა. 1987 წლიდან, ძირითადად, 90-იანი წლების დამდეგიდან, ქვეყანაში მრავალი უბედურება დატრიალდა — სტიქიის შემოტევა, სამოქალაქო არეულობა. ამის გამო 1992 წელს ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება, რომ კოოპერატიული ბინების მშენებლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას მთლიანად დაფარავდნენ, ხოლო სახელმწიფო 1995 წლამდე უკვე ბიუჯეტის ხარჯზე მათ ბინებით უზრუნველყოფდა. ამის შემდეგ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებამოსილების დაცვის ასოციაციის ძალისხმევით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც საკითხი შეისწავლა და მის მიერ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესი განსაზღვრა. 2000 წელს კანონში ცვლილებები შეიტანეს, რომელთა შესაბამისად კოოპერატიულ ბინათმშენებელთა ვალი ასევე სახელმწიფო ქონებითაც (შენობა-ნაგებობებით, მიწის ნაკვეთებით, წილებით და ა. შ.) დაიფარებოდა.

— ყოველივე ამის გათვალისწინებით, „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის“ 29-ე მუხლის 26-ე პუნქტით, ქვეყნის პარლამენტმა გაითვალისწინა კოოპერატიულ ბინათმშენებელთა ინტერესები და, მათი ვალის გასტუმრების უზრუნველსაყოფად, ნებაყოფლობით საფუძველზე, საპრივატიზაციო სახელმწიფო ქონების გაცემა გაითვალისწინა, — ამბობს ასოციაციის პრეზიდენტი. — ამდენად, კოოპერატიულ ბინათმშენებელთათვის სახელმწიფო ვალის სახელმწიფო ქონებით გასასტუმრებლად საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიღების შემდეგ უამრავმა სამინისტრომ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი მიიღო.

## ზოგი ბინას მიიღებს, ზოგიც — კომპენსაციას

— 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ასოციაციის ძალისხმევით, კოოპერატიულ ბინათმშენებელთა ინტერესები უკვე გათვალისწინებული იყო და მაშინ ორ ახალ საცხოვრებელ კორპუსში მათ ახალმოსახლეობა იზეიმეს, — საუბარს აგრძელებს ქალბატონი ნანა. — აღსანიშნავია, რომ თავად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები კანონმა ორ კატეგორიად გამიჯნა. ერთია კოოპერატივები, რომელთა ბინების მშენებლობა უნდა დასრულდეს და მეორე — ბინები, რომელთა მშენებლობას არ დაასრულებენ. პირველში არიან ის კოოპერატივები, რომლებმაც მშენებლობის 20 პროცენტი დაასრულეს, მეორეში კი ისინი, რომელთა ეს მაჩვენებელი 20 პროცენტზე დაბალია.

მეორე კატეგორიის კოოპერატივების მეპაიეები კომპენსაციას სახელმწიფო ქონებით, ანდა ფულადი სახით მიიღებენ, ხოლო პირველ კატეგორიაში მოხვედრილი კოოპერატივების წევრთა ბინები აშენდება. კანონის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები ორივე კატეგორიაზე თანაბრად განაწილდება.

## იჩქარე, რატომ მაინცდამაინც ნელა?

როგორც ასოციაციის პრეზიდენტი აცხადებს, ეს პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიდიოდა, თუმცა კმაყოფილებასაც ვერ მალავს. მთავარი ისაა, რომ კოოპერატიულ ბინათმშენებელთა მიმართ ვალის გასტუმრების პრეცედენტები უკვე არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1999 წელს ჩაბარდა ორი კოოპერატიული კორპუსი, რომელშიც ახალი ბინა მიიღო 120-მა ოჯახმა.

იხ. მე-7 გვ.

სტიქია

# ფლორიდა ახალი განსაცდელის წინაშე...

**● „ჩარლი“ „ფრენსისმა“ შეცვალა...**
**● პრეზიდენტმა ბუშმა ფლორიდა სტიქიის ზონად გამოაცხადა...**
**● „ფრენსისის“ „ბორბლის“ ფართობი ტეხასის შტატის ფართობზე მეტია!**
**● ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროდან დასავლეთი სანაპიროსკენ ევაკუირებულია ორი მილიონი ადამიანი!**
**ეს ყველაზე ფართომასშტაბიანი ევაკუაციაა ფლორიდის ისტორიაში!**
**● ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთი ნაწილი მთლიანად უშუქოდ დარჩა!**
**● ვესტპალმბიჩი და მიმდებარე ქალაქები გაუკაცრიელდა...**
**● დაზიანდა მსოფლიოს უდიდესი და ულამაზესი საკურორტო ქალაქი — მაიამი...**
**● „ფრენსისი“ პოლკის რაიონისკენ მიემართება...**

**სამი კვირის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოკლედ ვუამბე სტიქიური უბედურების შესახებ, რომელიც „ჩარლიმ“ დაატეხა თავს ფლორიდის მოსახლეობას.**

დარწმუნებული ვიყავი, ამ თემას აღარ მივუბრუნდებოდი. ამიტომ, სინოპტიკოსების გაფრთხილებას — მოსალოდნელი ახალი გრიგალის შესახებ — სკეპტიკურად შევხვდი. ვიფიქრე, რაკი „ჩარლის“ შემოტევისას ოცდასამი ადამიანი დაიღუპა, ხელისუფალნი, თავის დაზღვევის მიზნით, ალბათ, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენენ-მეთქი.

თურმე, ვცდებოდი. ამერიკელმა სინოპტიკოსებმა შესანიშნავად იციან თავიანთი საქმე!

მათი პროგნოზი, უმეტეს შემთხვევაში, ზუსტია!

რატომღაც გამახსენდა, როგორ აქილიკებდნენ ჩვენთან ამინდის ბიუროს ცნობას — დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია სუსტი, ზომიერი, ძლიერამდე ქარი...

ეს ისე, ხუმრობით.

სინამდვილეში, ჩვენი ქვეყნის შესაბამის სამსახურებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ მწირი, აკლიათ თანამედროვე დონის შესაბამისი აღჭურვილობა, თორემ სპეციალისტები, ცოდნითა და გამოცდილებით, ყველაზე განვითარებული ქვეყნების სპეციალისტებს არ ჩამოუვარდებიან.

გრიგალმა „ფრენსისმა“ ბაჰამის კუნძულებს რომ გადაუარა, ქარის სიჩქარე საათში 145 მილს შეადგენდა! ბაჰამის კუნძულები ფლორიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და ამერიკელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია.

გრიგალი, ფლორიდას რომ მოადგას, ქარის სიჩქარე 105 მილი იყო, ხოლო „ბორბალი“ ნელა — საათში რვა მილის სიჩქარით მოძრაობდა. ამიტომ, დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე ფლორიდის მიწას შეეხებოდა.

სამი კვირის წინათ „ჩარლიმ“ ფლორიდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სულ რამდენიმე საათში გადაკვეთა. „ფრენსისი“ კი ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მთელ დღეს ტრიალებდა.

გრიგალის უზარმაზარ ფართობს მოიცავს! საკმარისია ითქვას, რომ მისი „ბორბლის“ ფართობი ტეხასის შტატი ფართობს აღემატება! „ფრენსისის“ ეპიცენტრი ფლორიდის ხმელეთს ჯერ არც შეხებოდა, რომ „ბორბლის“ კუდებმა ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე წვიმა და ძლიერი ქარი გამოიწვია.

ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოსახლეობის ევაკუაცია ჯერ კიდევ ხუთშაბათს, ორ სექტემბერს დაიწყო. აღმოსავლეთი სანაპიროდან ფლორიდის დასავლეთისკენ ორი მილიონი ადამიანი წამოვიდა. როგორც ჟურნალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, ესაა ყველაზე დიდმასშტაბიანი ევაკუაცია ფლორიდის ისტორიაში!

ევაკუირებული ხალხი ლოდინით დაიღალა. უკვე ორ დღეზე მეტია, ისინი სასტუმროებში სხედან და ელი-



ან, როდის გადაივლის გრიგალი და შეეძლებათ შინ დაბრუნება. ცხადია, აინტერესებთ, რა ბედი ეწია მათ სახლ-კარს, რა ზარალი მიადგათ, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც „ფრენსისის“ სტუმრობაა გამოცხადებული, გულისხეთქვით მოელიან, რადგან არავინ იცის, რას მოიმოქმედებს, როგორ შეიცვლის მიმართულებას.

ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთი ნაწილი მთლიანად უშუქოდ დარჩა. დიდია ზარალი, რომლის მასშტაბი ჯერ არც დაუდგენიათ, რადგან, დროგამოშვებით, ქარის შემოტევა გრძელდება.

შარშან ზაფხულში, კეივესტზე ვიყავი, ჰემინგუეის სახლ-მუზეუმში. უკან დაბრუნებისას, მაიამიდან კანავერალის კონცხზე გავემგზავრეთ. სწორედ მაშინ ვნახე ფლორიდის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, ვესტპალმბიჩი და მის გასწვრივ მდებარე სამოთხისდარი პატარა ქალაქები, რომლებიც გრიგალის შემდეგ გაუკაცრიელებულია!

დაზიანდა მსოფლიოს უდიდესი და ულამაზესი საკურორტო ქალაქი მაიამი, სადაც ამ წუთებში კიდევ ბობოქრობს ქარი და ჯერჯერობით არავინ იცის, რას მოიმოქმედებს.

ფლორიდის ცენტრისკენ „ფრენსისის“ ქარის სიჩქარე 105 მილია საათში. ფლორიდის შტატის უდიდესი ტბის — ოკიჩობას მიდამოებში, სადაც გრიგალის ეპიცენტრმა გადაიარა, ქარის სიჩქარე 90 მილი იყო, ხოლო თვით გრიგალის „ბორბალი“ საათში რვა მილის სიჩქარით მოძრაობდა.

როგორც კი გრიგალის ეპიცენტრი აღმოსავლეთ სანაპიროზე ხმელეთს შეეხო, „ბორბლის“ კუდებმა დასავლეთ სანაპიროს ძლიერი ქარები და თქეში დაატეხა თავს.

ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, — ისე გამოვიდა! — ფლორიდის დასავლეთ სანაპიროზე, წყალდიდობის შიშით, დაბლობ რაიონებში მოსახლეობის ევაკუაციაა გამოცხადებული!

„ფრენსისი“ ძალიან ჯიუტი და ჭირვეული აღმოჩნდა. ნელა მოძრაობს, 15-20 საათს ერთ ადგილზე ტრიალებს. ეს კი ბევრად უფრო სახიფათოა, შედეგები კი უფრო მტკივნეული. მართალია, ქარის ძალა თითქოს შესუსტდა, მაგრამ ტროპიკული შტორმი გამოიწვია...

კლივოტერ-ლარგო-პინელასის მიდამოებში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ქარის სიჩქარე 47 მილია საათში, თუმცა მოსალოდნელია სიჩქარის გაზრდა, რადგან ქარი ჩვენსკენაც მოიწევს.

მოსახლეობამ სამზადისი გუშინ, შაბათ საღამოს დაიწყო. მოიმარაგეს საკვები, წყალი, სანთლები, ფარნები, ელემენტები, ტომრებით მოზიდეს ქვიშა. აჭედეს ფანჯრები, მოზიდეს ფიცრები კარების ასაჭედად...

ქალაქში ყველაფერი დაკეტილია. სამუშაოზე გამოგვიცხადეს, ხვალ სუპერმარკეტები დაიკეტებაო.

ქუჩებში ჭაჭანება არაა! ქარი ჰაერში ბუმბულივით დააფრიალებს დამსხვრეულ ტოტებს, სახურავებიდან აგლეჯილ თუნუქის ნაჭრებს... ასევე დიდად საშიშია გაწყვეტილი და მიწაზე დაყრილი ელექტროხაზები. ამიტომ, პოლიციისა და ჟურნალისტების გარდა გარეთ არავინ გამოდის...

„ფრენსისი“ პოლკის რაიონისკენ მიემართება. თუმცა ეპიცენტრი რაიონს ჯერ არ მიახლოებია, მაგრამ როგორც ტელევიზია გადმოსცემს, ქარისგან ილეწება ხეები, „ჩარლის“ ოინებს გადარჩენილი მობილური სახლები, მთელი რაიონი უშუქოდ დარჩა...



**ჯუმბერ ჯიშკარიანი,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში.**
**ლარგო, ფლორიდა.**

P. S. **კვირა, 18 საათი. ქარი ძლიერდება.**
**შესაძლოა, პოლკის რაიონის მსგავსად, მალე ჩვენც უშუქოდ დავრჩეთ და ფაქსი გაითიშება, ამიტომაც ვჩქარობ ამ მასალის გადმოცემას...**

**ჯ. ჯ.**

ინფორმაცია

### კოდორის ხეობა ყურადღებას ითხოვს

**კოდორის ხეობის მოსახლეობა საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს. კოდორელები ხეობაში მისასვლელი გზების ჩაკეტვამდე ადგილობრივი მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხეობიდან დევნილთა ახალი ნაკადის გაჩენას არ გამორიცხავენ.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ კოდორის ხეობის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ნორა არღვლიანმა განუცხადა, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა წლევანდელ ბიუჯეტში კოდორელთა პროდუქტებით მომარაგებისთვის საჭირო თანხა.**

**„თუ ადრე ხელისუფლება 1995 წლიდან ზამთრის თვეებში ადგილობრივთა პროდუქტებით მომარაგებისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 500 ათას ლარს ყოფდა, საქართველოს ახალ მთავრობას ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ადგილობრივთა მიმართ არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია და დახმარება არ გაუწევია“, — განაცხადა არღვლიანმა, რომლის მონაცემებით, დღესდღეობით ხეობაში საქართველოს 3000-მდე მოქალაქე რჩება, მათ შორის — ომში შვილდაკარგული 50 ოჯახი, 60 მარტოხელა მოხუცი, 66 ობოლი ბავშვი, 100 ინვალიდი, 500-მდე პენსიონერი, 200-მდე მრავალშვილიანი ოჯახის წევრი ბავშვი.**

**მან იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლების მხრიდან კოდორელთა მიმართ მსგავსი უყურადღებობის მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივთა პრობლემების შესახებ ინფორმაცია პრეზიდენტ სააკაშვილამდე უბრალოდ არ აღწევს.**

### გაიყვანეთ ჯარები!

**არასამთავრობო ორგანიზაცია „სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის“ წარმომადგენლები იჩქერიის რესპუბლიკიდან რუსეთის ჯარების გაყვანას მოითხოვენ.**

**ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით დღეს ასოციაციის წარმომადგენლები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შენობასთან შეკრებილ „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებს შეუერთდნენ.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა განუცხადა, „კავკასიაში არსებული ყველა უბედურების წყარო რუსეთის სამხედრო ძალებია, ამიტომ რუსული ჯარი ჩეჩნეთიდან უნდა გავიდეს“.**

**აქციის მონაწილეები ასევე მოითხოვენ იმ შეთანხმების გაუქმებას, რომლის თანახმად ოქტომბრის დასაწყისში თბილისს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უნდა ეწვიოს. „პუტინი კაცთამკვლელი და საქართველოს დაუძინებელი მტერია, ამიტომ მისი ვიზიტი საქართველოში არ უნდა შედგეს“ — განმარტა კერვალიშვილმა.**

**მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აქციის მონაწილეები მომავალში გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი აქციების გამართვით იმუქრებიან.**

### მავნე ჩვევებს — უარი!

**თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის ბაზაზე 5 ახალი სამსახური ჩამოყალიბდა.**

**კლინიკა „პროფესიონალი“, სოციალური მედიცინის ცენტრი, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის სამსახური „დაბრუნება“, თამბაქოს კონტროლის სამსახური და ფონდი „მომავალი თაობის გაჯანსაღებისათვის“ — ეს სამსახურები ამიერიდან საზოგადოებაში მავნე ჩვევების დაძლევაზე ერთად იზრუნებენ.**



**ახლადშექმნილი სამსახურები გამოდიან ინიციატივით, მოეწყოს ერთობლივი აქცია „ჟურნალისტები მომავალი თაობის გაჯანსაღებისათვის“, რომლის ფარგლებში ერთი დღის განმავლობაში თბილისის სკვერებსა და ბაღებში თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო საპროპაგანდო ღონისძიებები მოეწყობა.**

### რიკოთზე — შემოვლით

**რიკოთის გვირაბი გუშინ ოთხი დღით დაიხურა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, მიმდინარე სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გუშინ დილიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142 კმ-ში არსებული რიკოთის საუღელტეხილო გვირაბი დაიკეტა. სარემონტო სამუშაოები, რომელიც 9 სექტემბრის საღამოს 20.00 საათამდე გაგრძელდება, სავალი ნაწილის აღდგენა-შეკეთებას, სავენტილაციო სისტემის პროფილაქტიკას, ასევე განათების და თვალამრეკლების დამონტაჟებას ითვალისწინებს.**

**საავტომობილო დეპარტამენტის ინფორმაციით, ოთხი დღის განმავლობაში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა შემოვლითი გზით არის დაშვებული.**

**ინტერ-პრესი.**

პრობლემა

# ზაფხული კი მიილია, მაგრამ საფრთხე არ შემცირებულა

## ინფექციური დაავადებებისაგან თავის დაცვა თავადაც შეგვიძლია

**სპეციალისტ-ინფექციონისტთა თვალთახედვით ზაფხულის დასასრული მოსახლეობის კვებითი მოწამვლის მხრივ საშიშ პერიოდად ხასიათდება. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამის საფუძველი ხშირად ნაირ-ნაირი ხილითა და ბოსტნეულით დახუნძლული ჩვენი აგრარული ბაზრებია, სადაც კვლავ განუწყვეტლივ ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ბევრგან დახლების ნაცვლად მიწაზე ყრია გასაყიდად გამოტანილი ბაღჩეული, ბოსტნეული, ხილი. კრიტიკას ვერ უძლებს საბითუმო ვაჭრობისთვის გამოყოფილი უბნები. ამ საკითხზე ჩვენი გაზეთი რამდენჯერმე წერდა, თუმცა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.**

**თანდათან ივსება ქალაქი შვებულებიდან დაბრუნებული თბილისელებით, ამიტომ ბაზრებში დიდი მოძრაობაა. არ დავმალავთ, ხშირ შემთხვევაში, თურმე, საშიშ დაავადებათა წყარო ჭუჭყიანი ხელით მირთმეული გაურეცხავი ხილია, არადა, უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად თავდაპირველად სულ არაფერი... ხელის დაბანაა საჭირო.**

ივლისს-აგვისტოში 15000-მდე რუსეთელმა ქვეყნის ინფექციურ საავადმყოფოებში გაატარა საკმაო დრო. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ათი ავადმყოფიდან საავადმყოფოს შეიძლება მხოლოდ ერთმა მიმართოს. ასე რომ, მდგომარეობა იქ სახარბიელო არ არის.

***რა სიტუაციაა ამ მხრივ ჩვენთან?***

— ზაფხულის პერიოდი შედარებით მშვიდად მიილია, — თქვა დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ, როცა კომენტარისთვის მასთან მივედი. — საბედნიეროდ, რომელიმე ინფექციური დაავადების აფეთქება არ ყოფილა, თუმცა ცალკეული შემთხვევები იყო, რაც თავისთავად მოულოდნელობას არ წარმოადგენდა. ჩვენს მიერ შედგენილი ზაფხულის თვეების ეპიდემიოლოგიური სიტუაციის პროგნოზი ძირითადად გამართლდა. მალარიის განსაკუთრებით მაღალი რისკი კვლავ შეინიშნება ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში, ლეიშმანიოზისა — იმავე რაიონებში და ქ. თბილისის ვაკის, მთაწმინდისა და ორთაჭალის ტყესთან ახლო უბნებში (ლეიშმანიოზის რეზერვუარია როგორც მოხეტიალე, ასევე პატრონიანი, მაგრამ ავადმყოფი ძაღლები).



ლეიშმანიოზი მწვავე პარაზიტული დაავადებაა.

ცნობილია მისი 2 ძირითადი ფორმა: კანისა და ვისცერული. ამ დაავადებას უმარტივესი ტიპის ერთუჯრედიანი ორგანიზმი — ლეიშმანია იწვევს (ინგლისელი ექიმის უ. ლეიშმანის მიხედვით, რომელმაც 1900 წელს ვისცერული ლეიშმანიოზის გამომწვევი აღმოაჩინა). დაავადება გადააქვს ფლებოტომუსს. კანის დაავადებას იწვევს ტროპიკული ლეიშმანია. განასხვავებენ, აგრეთვე, კანის ლეიშმანიოზის ორ ფორმას — ქალაქის ტიპის ლეიშმანიოზს, რაც გვიან წყლულდება და სოფლის ტიპის ზოონოზურ ლეიშმანიოზს. დაავადების კერები აღრიცხულია აღმოსავლეთ საქართველოში თბილისიდან ხაშურამდე, მტკვრის, არაგვის, ქსნის, ლეხურას, თეძმის, ძამისა და ლიახვის აუზებში.

კანის ლეიშმანიოზის დროს ფლებოტომუსის ნაკბენ ადგილას კანზე წარმოიქმნება სპეციფიკური ლეიშმანიოზი, რომელიც თანდათან იზრდება, წყლულდება, ხოლო ინფექციის მოხვედრისას ვითარდება ძირმაგარის მსგავსი აბსცესი, შემდეგ ჩნდება ნაწიბური. ლეიშმანიოზები სწრაფად წყლულდება და იზრდება. აუცილებელია დაავადებათა დროული გამოვლენა და მკურნალობა, ზოონოზური ლეიშმანიოზის კერებში სოროების განადგურება, ფლებოტომებთან ბრძოლა და სანიტარიული წესების განუხრელი დაცვა. კლინიკურად ადამიანში დაავადება ტემპერატურის აწევით ვლინდება, დამახასიათებელია კანის მუქი შეფერილობა, სიგამხდრე, ელენთისა და ღვიძლის გადიდება, ანემია, ტაქიკარდია, ვითარდება ბრონქოპნევმონია.

ზაფხულის პერიოდში და შემდგომ ჩვეულებრივ იზრდება ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) მიერ ადამიანთა დაკბენა-დაკაწვრის და დადორბლის შემთხვევები. წლეულს საქართველოში ცოფით 9 ადამიანი გარდაიცვალა. ცოფის ასაცილებლად აუცილებელია ცხოველების აცრა, მოხეტიალე ცხოველების პოპულაციის რეგულირება.

— ცოფს ყველაზე ხშირად ძაღლი, კატა და მღრღნელები ავრცელებენ, თუმცა ამ დაავადების გავრცელება თითქმის ყველანაირ ცხოველს შეუძლია. ნაკბენით, ნაკაწრითა და დადორბვლით ცოფი ცხოველიდან ადამიანზე გადადის, — აღნიშნავს ბატონი პაატა, — ერთ-ერთი ინფექციური დაავადება, რომლის საწინააღმდეგო აცრებით საქართველო პირველ ადგილზე გამოვიდა, ეს ცოფია. შარშანდელი მონაცემებით, ცოფის საწინააღმდეგო აცრა თითქმის 25 ათასმა ადამიანმა ჩაიტარა, არც წლევანდელი წელია გამონაკლისი, ცოფზე უკვე 10 ათასია აცრილი.

ეს მონაცემები განგაშის საფუძველს ნამდვილად იძლევა, მით უმეტეს, უპატრონო ძაღლების რაოდენობაც არ იკლებს. გვრჩება ერთადერთი რამ: **თუ ძაღლი შინ გყავთ, მას სათანადო მოვლა სჭირდება, ნუ გადადებთ აცრებს. ეს საშიშია ყველასათვის.**

გარდა ამისა, ზაფხულის ბოლო ცხელმა დღეებმა და შემოდგომის დასაწყისმაც შეიძლება ინფექციური დაავადებები გამოიწვიოს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ შეიძლება მალარიასა და ლეიშმანიოზს ნაწლავური ინფექციებიც მოჰყვეს.

— ზაფხული და შემოდგომის დასაწყისი ნამდვილად არ ჩაივლის ხოლმე უინფექციოდ. ამისათვის მუდამ მზად ვართ და ვაკეთებთ ყველაფერს, მაგრამ უპირველესად საჭიროა, თითოეულმა მოქალაქემ პირადი ჰიგიენის აუცილებელი წესები დაიცვას, — გვირჩევს ბატონი პაატა, — სისუფთავე საჭმლის დამზადებისას და მერე მისი სათანადო შენახვა ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობის საწინდარია.

ბალახების გახმობის პერიოდში იმატებს ცხოველების ჯილეხით დაავადების ალბათობა და, შესაბამისად, ადამიანების დასნეიანების საფრთხეც. წლეულს უკვე ჯილეხის დაავადების 25 შემთხვევაა აღნუსხული. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქუთაისის, წყალტუბოსა და სენაკის რაიონებში. აუცილებელია შინაური ცხოველების დროული აცრა, დაკვლა კი მხოლოდ ვეტერინარული მეთვალყურეობით. კატეგორიულად დაუშვებელია დაცემული ცხოველის ან ავადმყოფის დაკვლა-გატყავება, ჯილეხით დაავადების მაღალი რისკის ჯგუფში სწორედ ავადმყოფი ცხოველების დაკვლა-გატყავებაში უშუალოდ მონაწილე პირები შედიან.

ზაფხულისა და შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით ხშირია კვებითი მოწამვლები. ინფექციის გადაცემის ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხორციანი საკვები. ბაქტერიები ხორცში შეიძლება მოხვდეს როგორც ცხოველის სიცოცხლეშივე, ასევე დაკვლის რეჟიმის დარღვევისა და შენახვის წესის შეუსრულებლობისას. ამიტომ დაუშვებელია უმი და მოხარშული ხორცის ერთი და იგივე დაფაზე დამუშავება, მზა პროდუქტის შენახვის წესის დარღვევა. ადამიანის დასნებოვნებისათვის ასევე სახიფათოა ძველი კვერცხი, კერძები, რომლებსაც უმატებენ კვერცხს, კვერცხის მაიონეზს და სხვ.

სალმონელების გარდა, კვებითი მოშხამვები შეიძლება გამოიწვიოს სტაფილოკოკებმა. ინფექციის წყარო კანის ჩირქოვანი დაავადებების მქონე ადამიანია.

გამორიცხული არ არის მასტიტით მოწამვლა დაავადებული ძროხის რძის მიღებისას. სტაფილოკოკები კარგად მრავლდებიან ნახშირწყლოვან (შაქარი) და ცილოვან (რძე, ხორცი) საკვებში. ამიტომ განსაკუთრებით საშიშია შაქრის შემცველი რძის პროდუქტების დასნებოვნება თერმული დამუშავების შემდეგ. ასეთებია კრემი, კრემიანი ნამცხვარი, ნაყინი. შეიძლება მოშხამვა გამოიწვიოს რძის, ხაჭოს, არაჟნის, ყველის, ხორცის პროდუქტებმა და ზეთში დაკონსერვებულმა თევზმა.

ვიმეორებთ, ნაწლავთა მწვავე ინფექციების გავრცელებაში მეტად მნიშვნელოვანია ფაქტორები, რომლებიც თვით მოსახლეობაზეა დამოკიდებული.

**ნაზი იმნაიშვილი.**

ხიდები

# ჩემი საქართველო

***რუსთაველის თეატრის გასტროლებზე, ერთ-ერთი სპექტაკლის ანტრაქტის დროს, ივან ფრანკოს სახელობის თეატრში გამიცნეს სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი, შავი ციცხალი თვალები რომ ჰქონდა – ეს გახლდათ აკადემიკოსი ნადეჟდა მალუტაშვილი, კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ჩემს მიერ შექმნილი ამ თეატრის მსახიობთა პორტრეტებით. „აი ეს გახლავთ ავტორი“, – უთხრა ქალბატონ ნადეჟდას ჟურნალ „Вечерний Киев“-ის რედაქტორმა ოლეგ მიკიტენკომ. ალბათ, როგორც იტყვიან, სულ სხვა თვალით შევხედეთ ერთმანეთს, რადგან მაშინვე განვიმსჭვალეთ ურთიერთსიმპათიის გრძნობით. ოლეგ მიკიტენკომ ქალბატონ ნადეჟდას უწოდა ქართული და უკრაინული თეატრების დამაკავშირებელი რგოლი და მითხრა, რომ იგი არაერთი წიგნის ავტორია. ალბათ სწორედ მაშინ ჩავიფიქრე პირველად, რომ კარგი იქნებოდა, თუ შევქმნიდი სურათების სერიას, რომლებზეც აღბეჭდილი იქნებოდა ქართველ მსახიობებს სხვადასხვა როლების შესრულების დროს.***



ირინა ლევიცკაია.

კიევში ამის შესაძლებლობა არ მომეცა, მაგრამ ეს შევძელი ლვოვში, როცა ქანდაკებების ფაბრიკის ვიზიტით შევქმენით თბილისში მოვედი.

1984 წელს რუსთაველის თეატრი ახალი დაბრუნებული იყო ლონდონიდან, სადაც ტრიუმფით გაიმართა დიდი გასტროლები. მსახიობების გუნება-განწყობილება ამაღლებული იყო. ლვოვში ჩამოიყვანეს საყვარელი სპექტაკლები და, რა თქმა უნდა, თეატრის შემოქმედების მწვერვალი – ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე“. ამ დღეებში კინოკრიტიკოსთან ერთად რეჟისორ ოლეგ ფილიპის ფილმი „მადამ ბაგრუმელის დაბრუნება“, რომელიც ეძღვნებოდა ცნობილ მომღერლის სოლომეა კრუშელნიცკაიას ცხოვრებას. იდალგობეზის როლებს ქართველი მსახიობები ასრულებდნენ. მე მათ უკვე შევხვდი კიევში, და ამიტომაც მეუბნი, თამამად მეთხოვა, მოეცათ სპექტაკლების ბილეთები. რა თქმა უნდა, ჩემი დანახვა ყველას გაუხარდა, მაგრამ მაშინვე მთხოვეს, რომ მენახა სპექტაკლები და დამეწყო მუშაობა მსახიობების სახეების შესაქმნელად. ეს საინტერესო შემოთავაზება იყო, რადგან ქართველები ძალზე ლამაზი და ემოციური ხალხია. მსახიობების სახეები საოცრად იცვლებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა რეჟისორ რობერტ სტურუას ჩანაფიქრით, ერთი მსახიობი ერთსა და იმავე სპექტაკლში ზოგჯერ ორ, ან მეტ როლსაც ასრულებდა. გასტროლების დროს მე თეატრთან ერთად ვცხოვრობდი და შევძელი 19 პორტრეტის დახატვა. ახლა ყველას არ ჩამოვთვლი, მაგრამ მსურს გამოვყო ორი სრულიად განსხვავებული როლი, რომლებსაც სცენაზე შეასხა ხორცი რამაზ ჩხიკვაძემ: შექსპირის მეფე რიჩარდ მესამე და აზდაკი – ბრძენი მოსამართლე ბრეჰტის „კავკასიური ცარცის წრიდან“. ბედს დიდად ვემადლიერები იმის გამო, რომ ჩემმა მეგობარმა ემანუილ მისკომ მაშინ მათხოვა პანდა (ზეთის პასტელი) და ფერადი ქაღალდი – სპექტაკლის დროს სწრაფი ხატვისათვის უკეთეს მასალას ვერც კი ინატრებდა კაცი.

ვხატავდი დიდი გატაცებით: კახი კავსაძეს, გურამ საღარაძეს, ზინა კვერენჩხილაძეს (მისი მონოსპექტაკლის დროს), ბადრი კობახიძეს... მე შემომიერთდა მილკო მისკო, რომელმაც მსახიობების ფიგურების ძერწვა დაიწყო.

როგორც ი. ფრანკოს თეატრში, ახლაც საგრიმიორროებში ვხატავდი ყველას, ვინც იმ დროს თავისუფალი იყო. მახსოვს, გვერდით ჩამირბინა ოქროსფერთმიანმა გოგონამ. „რა გქვია?“ – ვკითხე მე. „დარეჯანი“ – მიპასუხა მან. „მაშ დარეჯანი, მაშინ დაჯექი“, – მივუთითე სკამზე. ბავშვობაში ჩემი საყვარელი წიგნი იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მუდამ ვოცნებობდი შევხვედროდი მის გმირებს – ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს. აი, როგორც იქნა, შევხვდი კიდეც. პორტრეტი დავხატე. მოგვიანებით რობერტ სტურუამ მკითხა: „ტარიელიც ხომ არ გინახავს?“. „სამწუხაროდ, არა“, – „მაშინ აუცილებლად შეხვდები“, – მითხრა დიდმა რეჟისორმა. უჩვეულო ეპიზოდი შემემთხვა ავთანდილ მახარაძესთან დაკავშირებით. როცა ერთ-ერთ მსახიობს ვხატავდი, მან გვერდით ჩაგვიარა და ერთი მოგვავლო თვალი. ჩემს ირგვლივ მრავალი მსახიობი შეკრებილიყო. „აბა, მოუსვით ახლავე აქედან!“ – დაიქუხა მან. – „მხატვარი თვითონ მოისხობს იმას, ვისი დახატვაც სურს!“ უცებ მე მომიბრუნდა: „ჩემი როლებიდან რომელი შეარჩიეთ?“ („რიჩარდ მესამეში“ იგი სამ როლს ასრულებდა). „მასხარის“, – ძლივს ამოვილუღლუღე. „კარგით. მასხარა შეგიძლიათ დახატოთ თქვენთვის, ისტორიისთვის კი მეფე დახატეთ“. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ქაღალდი მოვამზადე. ველოდები. კარგა ხანი გავიდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა... ფეხშიშველი იყო. მე წამოვხტი. „რატომ ხართ ფეხშიშველი, საკმაოდ ცივა, მე ხომ მარტო პორტრეტი უნდა დავხატო“. „ჩუმად, როლში ვარ შესული“, – ჩურჩულით მითხრა ბატონმა ავთანდილმა. მეც ასე დავხატე.

კიევში გავაკეთე იმ მსახიობთა სურათების ჩანახატები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნოდარ დუმბაძის სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. როცა საქართველოსადმი მიძღვნილი ჩემი ნამუშევრების კოლექცია მზად იყო, მე დავურეკე ჩემს მეგობარს, ქალბატონ ნადეჟდა შალუტაშვილს და შევთავაზე გამოფენის მოწყობა საქართველოში. ქალბატონი ნადეჟდა მაშინათვე გამოეხმაურა ჩემს წინადადებას და დაიწყო გამოფენისათვის მზადება. მთავარი იყო საგამოფენო დარბაზი. ქალბატონმა ნადეჟდამ შეძლო, ამისათვის გამოენახა მსახიობის სახლის მარმარილოს დარბაზი და თანაც იმ დროს, როცა იქ უნდა გამართულიყო თეატრალური პლენუმი. მოსაწვევი ბარათებიც კი შეუკვეთეს. ყველაფერი კარგად აეწყო. ნამუშევრების თბილისში ჩამოტანა არ დაუგვიანებიათ. საქართველოს კულტურის სამინისტრო, თეატრის მოღვაწეთა საზოგადოება და მსახიობთა სახლი – ყველა მე მეხმაურებოდა. გამოფენის გახსნამდე ორიოდე დღე რჩებოდა და მე უნდა დამესრულებინა თეატრის რამდენიმე მოღვაწის პორტრეტებზე მუშაობა. ესენი იყვნენ. საზოგადოების თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, დოდო ალექსიძე, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ივანე ფრანკოს სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო, ცნობილი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, რომლის წიგნიც „რეჟისორი მიდის თეატრიდან“ მე კიევში წავიკითხე. და ბოლოს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი რობერტ სტურუა. თავაუღებლივ ვხატავდი. დრო ცოტა მქონდა, გარდა ამისა, მე ხომ უნდა მომესწრო სტუმრობა „ქართლის დედასთან“ – ვერიკო ანჯაფარიძესთან, რომლის სახელიც უკავშირდება ჩვენი დიდი ლესია კურბასის სახელს. როგორც იქნა, მოვასწარი ყველა პორტრეტის დახატვა. ჩემს მიერ ზემოთ დასახელებული ნებისმიერი ადამიანი უდიდესი პიროვნებაა, მაგრამ, როგორც ყველა დიდი ადამიანი, ისინიც ძალზე მოკრძალებულები იყვნენ. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ბატონი დოდო ალექსიძე, რომელიც ჯერ კიდევ კიევიდან მახსოვდა. გამოფენის დაწყებას იგი არ დაელოდა და მისი სურათის დახატვა მომიწია ფოტოდან.

მსურს, ორიოდე სიტყვით აღვწერო ქალბატონი ვერიკო, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ თამაშობდა მარჯანიშვილის თეატრში. როცა მე მათთან მივედი (კარი გამიღო ჩემმა საყვარელმა სოფიკო ჭიაურელმა, მისმა ქალიშვილმა), ქალბატონი ვერიკო პირდაპირ კისერზე ჩამომეკიდა. იგი ისეთივე მსუბუქი იყო, როგორც ჩემი განსვენებული ბებია, ანა ეგოროვა, თეატრისა და კინოს მსახიობი. მე შევედი მრგვალ დარბაზში და მაშინვე დავინახე ფიროსმანი, ირგვლივ სულ სურათები ეკიდა. ქალბატონი ვერიკო მაგიდასთან დაფუსფუსებდა, გამიმასპინძლდა „ნაპოლეონით“, მე კი მას ვხატავდი. მოხუც მსახიობს ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა უჭირდა, რადგან უკვე იმ დროს მალალ წნევას უჩიოდა. მან კიდევ ერთი წრე დაარტყა მაგიდას, თითი გაიშვირა ჩემი ნახატისკენ და თქვა: „ვიყიდი მას“. ჩემი პასუხი ასეთი იყო: ორი დღის შემდეგ გაიხსნება მსახიობების პორტრეტების გამოფენა, რომლის დასრულების შემდეგაც, ქალბატონი ვერიკო, რა თქმა უნდა, მიიღებდა ამ ნახატს. ასეც მოხდა, გამოფენის დასრულების შემდეგ ნამუშევრები კიევში დააბრუნეს, ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტი და რამდენიმე სხვა სურათი კი თბილისში დარჩა. ქალბატონ ვერიკოს გარდაცვალების შემდეგ, მე დავწერე განცხადება, რომ სურათს გადავცემდი მის სახლში გახსნილ მუზეუმს.

მეორედ ეს პორტრეტები კი გამოფინეს კიევში, სადაც ელოდებოდნენ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას. ექსპოზიციის შემდეგ უკრაინის კულტურის სამინისტრომ საქართველოს გადასცა მთელი გამოფენა.

მანამდე კი ჩემს სახელოსნოში იმყოფებოდნენ მაშინდელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოში უკრაინის კონსულთან და კიევში საქართველოში კონსულთან ერთად. მთხოვეს მათთვის გადამეცა მიხეილ თუმანიშვილის პორტრეტი. ახლაც მახსოვს, თუ რა გულთბილი შეხვედრა გვქონდა მაშინ ჩემს პატარა სახელოსნოში.

ეს პორტრეტები კვლავ გაგვახსენდა მაშინ, როცა რეჟისორი რობერტ სტურუა მიიწვიეს ივან ფრანკოს სახელობის თეატრში სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დასადგმელად. ორივეს გაგვიხარდა ერთმანეთის დანახვა და მაშინ დავთქვით კიდეც, რომ ვიზრუნებდით ამ პორტრეტების შემდგომ ბედზე.

ახლა საქართველოს არ ულხინს, მაგრამ ამით მისი მეგობრების რიცხვი კი არ შემცირებულა, პირიქით – გაიზარდა კიდეც. მთელი უკრაინა გულწრფელად განიცდის იმას, რაც თქვენს ქვეყანაში ხდება. მე კი ჩემი წერილი მსურს დავასრულო ლესია უკრაინკას სიტყვებით: „უკრაინელი რომ არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი“.

**ირინა ლევიცკაია.**


# განცხადება

## სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორი სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ აქციონერებს იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე. კრება ჩატარდება 2004 წლის 27 სექტემბერს, 14 საათზე. მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა № 44.**

**დღის წესრიგი:**

1. ცვლილებები სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოში;
2. ცვლილება სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საწესდებო კაპიტალში (შპს „საქართველოს რკინიგზის“ საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული სატრანსფორმატორო ქვესადგურების სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საწესდებო კაპიტალში შეტანასთან დაკავშირებით).

აქციონერებს დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აქციაზე საკუთრების უფლების მქონე აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „კომპანია-ცენტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, დამოუკიდებელი რეგისტრატორის შპს „კომპანია-ცენტრის“ ოფისში.

**სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.**

**დევიდ სორტონი.**

**თბილისი, 2004 წლის 7 სექტემბერი.**




**ორშაბათს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაუშვეს სახელმწიფო დროშები. რუსეთი მიაგებს პატივს ერის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ინციდენტის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.**

# რუსეთში გლოვაა გამოცხადებული

ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვი 335-ს შეადგენს. „რეიტერის“ სააგენტოს ინფორმაციით, დაღუპულია 338 კაცი, „ფრანს-პრესი“ კი აცხადებს, რომ ტერაქტს 394 ადამიანი ემსხვერპლა.

დაღუპულთა საერთო რიცხვში შეიტანეს ის 12 ადამიანიც, რომლებიც მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალნენ საავადმყოფოებში.

ბესლანის, ჩრდილოეთ ოსეთისა და რუსეთის სხვა რეგიონების საავადმყოფოებში კვლავ რჩება 376 დაჭრილი. ჩრდილოეთ ოსეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ დაჭრილთა შორის არის 17 წლამდე ასაკის 197 მოზარდი.

გარდა ამისა, კიდევ დაახლოებით 200 კაცი, რომლებმაც ბესლანის სკოლის შენობაში ტყვეობაში გაატარეს სამი დღე, აქამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

როგორც ჟურნალისტებს აცნობა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ სერგეი ფრიდინსკიმ, ტერორისტულ აქტში მონაწილეობდა 32 მოთარეშე. „იტარ-ტასის“ სააგენტოს ცნობით, 30 მათგანი მოკლულია.

რუსეთის სააგენტოების ინფორმაციებში არაფერია ნათქვამი იმ ადამიანზე, რომელიც უჩვენეს კვირას რუსეთის ტელევიზიის პირველი არხით. კერძოდ, უჩვენეს ბორკილებდადებული ადამიანი, რომელიც ამბობდა, რომ მოთარეშეთა მიერ სკოლის შენობის დაკავების დროს არ უსვრია. „ვფიცავ ალაჰს, არც ერთი ქალი და ბავშვი არ მომიკლავს“, – თქვა მან.

ეს არის პირველი მტკიცებულება რუსეთის ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებისა იმის თაობაზე, რომ მათ შეძლეს რამდენიმე თავდამსხმელის დაკავება. როგორც ჩანს, ტერორისტი ცდილობდა გაქცევას განთავისუფლებულ მძევლებთან ერთად, მაგრამ იგი დააკავეს სპეციალური დანიშნულების რაზმის მეომრებმა.

ხელისუფლების წარმომადგენლები კვლავ ამტკიცებენ, რომ თავდამსხმელთა შორის იყვნენ უცხოელები, თუმცა, მათ მიერ გაკეთებული განცხადება ტერაქტში ცხრა ან ათი არაბის მონაწილეობის შესახებ, ჯერჯერობით არ დასტურდება.

„საქმე ეხება სრულ „ინტერნაციონალს“ – ბანდიდატთა შორის იყვნენ ჩეჩნები, ინგუშები, ყაზახები, არაბები, სლავი ეროვნების ადამიანები“, – აღნიშნა გენერალური პროკურორის მოადგილემ.

მძევლები ამტკიცებენ, რომ თავდამსხმელებმა სკოლის შენობაში წინასწარ მოიმარაგეს იარაღი და ტყვია-წამალი. ოფიციალური ვერსიით, ტერორისტული აქტის ორგანიზატორებმა სკოლაში შეაღწიეს მაშინ, როცა იქ, სასწავლო წლის დაწყებამდე, მიმდინარეობდა რემონტი. მათ შეძლეს სკოლის შენობაში შეეტანათ ასაფეთქებელი ნივთიერება და ტყვიები.

თუმცა, იბადება კითხვა: როგორ მოახერხეს ტერორისტებმა ყოველივე ამის გაკეთება რეგიონში, რომელსაც იცავს მილიციის გაძლიერებული განაწესები. საოცარია, თუ როგორ შეძლეს მათ მთელი არსენალის შემოტანა მაშინ, როცა პამიდვრებით სავსე ყუთსაც კი მილიციელები სულ ცოტა 20-ჯერ მაინც ამოწმებენ? – აცხადებს ასლანბეკ ბადიტიევი, რომელიც თავის დროზე მუშაობდა მილიციაში. – ყოველივე ამის გაკეთება მათ შეძლეს უბრალოდ – მისცეს ქრთამი მილიციის მუშაკებს, – დასძენს ბადიტიევი.







# რეფორმების გამო შრედერის პარტიამ ამომრჩეველთა ხმების მესამედი დაკარგა

**გერმანელმა ამომრჩევლებმა კიდევ ერთი მძიმე დარტყმა აგემეს გერჰარდ შრედერის მმართველ პარტიას. ზაარის მხარეში გამართულ არჩევნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერთა რიცხვი მესამედით შემცირდა და მან მხოლოდ 30,8 პროცენტი შეადგინა.**

ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა კვლავ მოიპოვეს ქრისტიანმა დემოკრატებმა, რომლებმაც ხმათა 47,5 პროცენტი მოაგროვეს.

ამომრჩეველთა უკმაყოფილების მიზეზი გახდა ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც გერმანიის მოქალაქეთა მტკიცე პროტესტს იწვევს. ხელისუფლების ყველაზე სადავო წინადადებათა შორის არის უმუშევრობისათვის დახმარებისა და სხვა სოციალური გადასახდელების შემცირება. ამ ბოლო კვირების განმავლობაში გაიმართა არაერთი საპროტესტო მარში ქვეყნის მრავალ ქალაქში.

სოციალ-დემოკრატთა ადგილობრივი განყოფილების ლიდერმა ჰეიკო მაასმა აღიარა, რომ არჩევნების შედეგები აშკარად მოწმობდა მათ დამარცხებას. თუმცა, მთავრობა არ აპირებს უარი თქვას თავისი ეკონომიკური პროგრამის განხორციელებაზე, დასძინა მაასმა.

ჯერ კიდევ 1999 წლამდე ეს რეგიონი იყო საიმედო ბაზა სოციალ-დემოკრატებისათვის. ახლა კი, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ანჟელა მარკერი არჩევნების შედეგებს ზაარის მხარეში „სენსაციურს“ უწოდებს. მოელიან, რომ 2006 წლის ფედერაციულ არჩევნებში გერჰარდ შრედერს კონკურენციას სწორედ ეს ქალბატონი გაუწევს.

# სადამ ჰუსეინის მოადგილე დაპატიმრებული არ არის

**ამერიკელმა სამხედროებმა ერაყში უარყვეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეძლეს სადამ ჰუსეინის „მარჯვენა ხელის“ – იზათ იბრაჰიმ დურის დაკავება.**

დურის დაპატიმრების შესახებ იტყობინებოდა ერაყის თავდაცვის სამინისტრო, თუმცა, მოგვიანებით



გაირკვა, რომ დაკავებულია სულ სხვა ადამიანი.

დაპატიმრებულის ვინაობა ჯერჯერობით არ არის დადგენილი. როგორც იტყობინებიან, ამ ადამიანის დაკავების დროს მოკლეს მისი 70 მცველი. გარდა ამისა, კიდევ 80 კაცი დაპატიმრებულია.

მოგვიანებით დურის დაპატიმრების შესახებ გავრცელებული ცნობები უარყო ერაყის თავდაცვის მინისტრმა ჰაზიმ შალაანმაც.

„ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ამის თაობაზე. თავდაცვის სამინისტროს მიერ წინათ გაკეთებული განცხადება უსაფუძვლოა“, – თქვან მან ლიბანის ტელეარხისათვის მიცემულ ინტერვიუში.

იზათ იბრაჰიმ დური სადამის რეჟიმის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელიც აქამდე იმალება.

იზათ იბრაჰიმ დური იყო სადამ ჰუსეინის მოადგილე რევოლუციური სარდლობის საბჭოში და დამხობილი რეჟიმის 55 ყველაზე მეტად ძებნილ ფიგურათა ნუსხაში მას მეექვსე ადგილი უკავია.

ამ ადამიანს ადანაშაულებენ ამბოხებულთა ჯგუფების დაფინანსებაზე. დურის დაპატიმრებისათვის დაწესებულია ჯილდო 10 მილიონი დოლარის ოდენობით.

# მძლავრი მიწისძვრა იაპონიაში

**სულ ცოტა 60 კაცი დაშავდა იაპონიის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, სადაც მოხდა მძლავრი მიწისძვრა, რომელსაც თან ტაიფუნიც დაერთო.**

რიხტერის სკალით 6,9 და 7,3 ბალის სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგები კვირას დაფიქსირდა ამ რეგიონებში დაახლოებით 5 საათის ინტერვალით. სტიქიის ძირითადი დარტყმა მიიღო კიის ნახევარკუნძულმა, თუმცა სერიოზული ბიძგები იგრძნობოდა მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში. ორივე შემთხვევაში მიწისძვრის კერა მდებარეობდა წყნარი ოკეანის ფსკერზე, სანაპიროს მახლობლად.

გარდა ამისა, ორშაბათს, გამთენიისას, ოკინავის არქიპელაგს გადაუარა ტაიფუნმა „სონგდამ“ ამ სტიქიური უბედურების გამო ხელისუფლებამ სასწრაფოდ გახიზნა 170 კაცი და დახურა ადგილობრივი სკოლები.

# მოკლედ

**მძლავრი აფეთქება მოხდა ქალაქ ღაზის მიდამოებში. დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ჯერჯერობით ინფორმაცია არ გავრცელებულა. შესაძლოა, საქმე ეხებოდეს პალესტინელი ტერორისტების ერთ-ერთი მეთაურის ლიკვიდაციას.**

* * *

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერაყში მძევლად აყვანილი ორი ფრანგი ჟურნალისტის ჟორჟ მალბრიუნოსა და კრისტიან შენოს სუნიტი რელიგიური ლიდერებისათვის**



**გადაცემას ხელი შეუშალა ამერიკელთა ჯარებთან „ერაყის ისლამური არმიის“ რაზმების ახალმა შეტაკებამ.**

* * *

**გრიგალმა „ფრენსისმა“, რომელიც თავს დაატყდა ფლორიდას, საგრძნობლად დაკარგა ძალა. თუმცა, სტიქიურ უბედურებას მაინც შეეწირა ოთხი კაცი, გარდა ამისა, შტატში ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა მრავალ ოჯახს. ამჟამად „ფრენსისი“ ჩვეულებრივ ტროპიკულ ქარად გადაიქცა, რომლის სიჩქარე საათში 70 კილომეტრს აღწევს.**



# ესტონეთში საბჭოთა მეომრების ძეგლი შებილწეს

**ესტონეთის დაბა ლიჰულაში ამ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უკვე მეორედ შებილწეს საბჭოთა მეომრების ძეგლი.**

ვანდალებმა მონუმენტს ჩამოხსნეს მარმარილოს დაფები, რომლებზეც ესტონურ და რუსულ ენებზე ეწერა: „მარადიული ხსოვნა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირებს“, ცემენტი გადაასხეს ხუთქიმიან ვარსკვლავს.

გასულ კვირას კი ამავე ძეგლს გადაასხეს წითელი საღებავი. გარდა ამისა, დააზიანეს ლიჰულას ცენტრში აღმართული კიდევ ერთი მონუმენტი. ვანდალებმა ძეგლს წითელი საღებავით ესტონურ ენაზე წააწერეს: „გაუმარჯოს იუჰან პარტსს“ (ესტონეთის პრემიერ-მინისტრი).

გასული წლის ზაფხულში ამ ძეგლების რესტავრაცია განახორციელეს ადგილობრივმა ვეტერანებმა რუსეთის ფედერაციის საელჩოს მხარდაჭერით.

ინციდენტები მოხდა მას შემდეგ, რაც გასულ ხუთშაბათს ესტონეთის მთავრობის განკარგულებით დაშალეს ესესელთა მე-20 ესტონური დივიზიის შემადგენლობაში მებრძოლი ესტონელი მეომრების ძეგლი.



# ერაყის პრეზიდენტმა ცოლად მინისტრი შეირთო



**ერაყის პრეზიდენტმა გაზი აჯილ ალ-იაურმა ცოლად შეირთო ნასრიმ ბარვარი, რომელსაც ერაყის მთავრობაში უკავია საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის პოსტი, იტყობინებოდა „ალ-არაბიის“ ტელეარხი. სულ კი, ერაყის მთავრობაში, ამ ქვეყნისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში პირველად, ერთბაშად ხუთი ქალი მოხვდა.**

ბარვარი ალ-იაურის მესამე ცოლი გახდა. იგი დაიბადა 1970 წელს ერაყის ქალაქ ერბილში, ქურთების ოჯახში.

1991 წელს დაასრულა ბაღდადის უნივერსიტეტი ინჟინრის სპეციალობით. ბარვარი არის ერაყის დროებით მთავრობაში შვიდი ქურთი მინისტრიდან ერთ-ერთი. იგი ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წევრია, რომელსაც მასუდ ალ-ბარზანი ხელმძღვანელობს.

ალ-იაური დაიბადა 1958 წელს მოსულის პროვინციაში. მისი მამა არის ერთ-ერთი გავლენიანი არაბული ტომის – შუმარის შეიჰი.

ალ-იაური, რომელიც ინჟინრის სპეციალობას ეუფლებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში, ერაყში დაბრუნდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ. იგი იყო ერაყის დროებითი მმართველობის წევრი, 2004 წელს კი გახდა ქვეყნის დროებითი პრეზიდენტი.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა ზაზა ბეჟანიძემ.**

◎ სტატისტიკა

# რა გვიჩვენა მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ



(მესამე გვერდიდან)

აფხაზების რაოდენობა საქართველოში განახევრდა. მათი რაოდენობა ამჟამად 45 518 კაცს შეადგენს. აქედან 42 ათასი აფხაზეთში ცხოვრობს, 9 – კოდორის ხეობაში, ხოლო დანარჩენი – საქართველოს სხვადასხვა რაიონში. თითქმის ათასამდე აფხაზი გამოექცა სეპარატისტული რეჟიმის ტერორს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა თავი. უკანასკნელ წლებში 52 ათასი აფხაზი წავიდა საცხოვრებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში, ძირითადად – რუსეთში.

ოსების რაოდენობაც საქართველოში განახევრდა. მათი რაოდენობა ამჟამად 84 728 კაცს შეადგენს. აქედან 46 ათასი ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს. აღწერებს შორის პერიოდში მთელ საქართველოში ოსების რაოდენობა 79 327 კაცით შემცირდა. 79 827 ოსი საზღვარგარეთის ქვეყნებში, უმთავრესად რუსეთში გადასახლდა.

რუსების რაოდენობა საქართველოში 241 101 კაცით შემცირდა და ამჟამად ჩვენს ქვეყანაში 100 071 რუსი ცხოვრობს (კონტროლირებად ტერიტორიაზე – 67 671 კაცი).

სომხების რაოდენობამ საქართველოში 281 229 კაცი შეადგინა (კონტროლირებად ტერიტორიაზე – 248 929 კაცი) და 1989 წელთან შედარებით მათი რიცხვი 155 922 კაცით შემცირდა. საზღვარგარეთის ქვეყნებში საცხოვრებლად 163 531 სომეხი გადასახლდა.

აზერბაიჯანელების რაოდენობამ საქართველოში 284 881 კაცი შეადგინა (კონტროლირებად ტერიტორიაზე – 284 761 კაცი) და მათმა რიცხვმა 1989 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ დაიკლო – 22 881 კაცით, მაგრამ საქართველოდან გასული აზერბაიჯანელების რაოდენობამ, მათი მაღალი ბუნებრივი მატების გამო, 62 845 კაცი შეადგინა. საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე, ბერძნების (81 258 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა 100 324 ბერძენი), უკრაინელების (41 574 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა 52 443 უკრაინელი), ებრაელებისა (20 593 კაცით, 1989 წელს ცხოვრობდა – 24 795 ებრაელი) და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების რაოდენობა.

შეიცვალა მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურაც. 1989-2002 წლებში ყოველ ათას მამაკაცზე ქალების რაოდენობა 1108-დან 1120-მდე გაიზარდა. ამასთან, თუ დაბალ ასაკობრივ ჯგუფებში მამაკაცები ჭარბობენ ქალებს, 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან უკვე ყველა ასაკობრივ ჯგუფში ქალები მეტნი არიან მამაკაცებზე. ასაკის მატებასთან ერთად „სუსტი სქესის" წარმომადგენლების რაოდენობა მამაკაცებთან შედარებით სულ უფრო იზრდება. მაგალითად, 75-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში 36 ათასი მამაკაცი და 69 ათასი ქალი აღირიცხა. საქართველოში კონტროლირებად ტერიტორიაზე სულ 248 ათასი ქალით მეტი ცხოვრობს „ძლიერ სქესთან" შედარებით.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შემდეგ პირველად დადგინდა საქართველოს მოსახლეობის კონფესიური (აღმსარებლობითი) სტრუქტურა. კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის 88,6 პროცენტი (3 872 099 კაცი) ქრისტიანული მრწამსისაა, მათ შორის, 83,9 პროცენტი (3 666 233 კაცი) მართლმადიდებელია, 0,8 პროცენტი (34 727 კაცი) კათოლიკეა, ხოლო 3,9 პროცენტი (171 139 კაცი) სომხურ-გრიგორიანული. მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარია მოსახლეობის 9,9 პროცენტი (433 784 კაცი), ათეისტია მოსახლეობის – 0,6 პროცენტი (28 631 კაცი).

აღწერის შედეგების მეორე ტომი მთლიანად სოფლის მოსახლეობას ეძღვნება. კონტროლირებად ტერიტორიაზე 896 სასოფლო საკრებულოს ფარგლებში 3668 სოფელია, რომელთაგან მოსახლეობა არ ცხოვრობს 162 სოფელში. სამწუხაროდ, იზრდება ნასოფლარების რაოდენობა. 1989 წელს 163 სოფელში არ ცხოვრობდა მოსახლეობა, აქედან 30 სოფელი აფხაზეთში, ხოლო 61 სოფელი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში მდებარეობდა. ეს იგი, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე 91 სოფელში არ ცხოვრობდა ხალხი, ხოლო კონტროლირებად ტერიტორიაზე – 72 სოფელში. ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიაზე 162 ასეთი სოფელი აღირიცხა. მომავალში ასეთი სოფლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან, როგორც აღწერამ გვიჩვენა, 74 სოფელში მხოლოდ 1-5 კაცი, 78 სოფელში 6-10 კაცი, ხოლო 169 სოფელში 11-25 კაცი ცხოვრობს. როგორც ჩანს, ეს სოფლებიც მალე (თუ საგანგებო ზომები არ იქნა მიღებული) ნასოფლარების ბედს გაიზიარებენ.

1989 წელს საქართველოში 21 ხალხმრავალი სოფელი იყო, სადაც 5000 და მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ამ სოფლებიდან 19 სოფელი კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს, ორი სოფელი – იფნარი და ბაბუშერა კი – აფხაზეთში. ამჟამად კონტროლირებად ტერიტორიაზე 28 ხალხმრავალი სოფელი დაფიქსირდა, ანუ 9 სოფლით მეტი წინა აღწერასთან შედარებით. ამ სოფლებიდან სიდიდით პირველ ადგილზეა მარნეულის რაიონში სოფელი სადახლო – 9 486 კაცი; შემდეგ მცხეთის რაიონში სოფელი დიღომი – 8 746 და თელავის რაიონში სოფელი ყარაჯალა – 8 270 კაცი. ამ უკანასკნელ სოფელში 1989 წელს 6 923 კაცი ცხოვრობდა და მათი რაოდენობა 12 წელიწადში 1 347 კაცით გაიზარდა. ყარაჯალა ერთადერთი სოფელია თელავის რაიონში, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.

ამჟამად 3 050 სოფელში, ანუ დასახლებული სოფლების 87,0 პროცენტში ჭარბობს ქართველი მოსახლეობა; 171 სოფელში – აზერბაიჯანელი მოსახლეობა; 139 სოფელში – სომეხი; 103 სოფელში – ოსი; 26 სოფელში – ბერძენი; 8 სოფელში – ქისტი; 4 სოფელში – რუსი და ა. შ.

აღწერის შედეგების მესამე ტომის პირველი ნაწილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო მეორე ნაწილი მიგრაციის პროცესებს ასახავს. მოსახლეობის უმრავლესობას – 86,6 პროცენტს არსებობის საშუალებათა ერთი წყარო აქვს, 12,7 პროცენტს – ორი და ერთ პროცენტზე ნაკლებს – სამი და მეტი. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 37,8 პროცენტისათვის არსებობის საშუალებათა ძირითადი წყაროა დასაქმება. ეს მაჩვენებელი 1989 წელს 64,8 პროცენტს უდრიდა. ამავე ასაკის მოსახლეობის 42,8 პროცენტი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა, რომლის 88,3 პროცენტი დასაქმებულია. რაც შეეხება ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობას (57,2 პროცენტი), მათი 80,8 პროცენტი სხვა პირთა კმაყოფაზე იმყოფება.

აღწერის მონაცემების თანახმად, კონტროლირებად ტერიტორიაზე 619 066 უმუშევარი დაფიქსირდა, რომელთაგან ერთ მესამედს – 32,7 პროცენტს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი თბილისში – 47,5 პროცენტი. უმაღლესი განათლების მქონე 175 553 უმუშევარს შორის 740 მეცნიერებათა კანდიდატია, ხოლო 82 – მეცნიერებათა დოქტორი.

სამწუხაროდ, ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები არ იძლევა კვალიფიციურ სპეციალისტთა დიდი ნაწილის გამოყენების საშუალებას. უმუშევართა 75,5 პროცენტი ქალაქად ცხოვრობს, რაც კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის მათ საარსებო პირობებს. უმუშევართა 44,7 პროცენტი მამაკაცია. ამასთან, შრომისუნარიანი ასაკისაა უმუშევართა 97,1 პროცენტი. ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით უმუშევართა 40,6 პროცენტი ყველაზე პროდუქტიულ – 16-29 წლის ასაკში იმყოფება. უმუშევართა საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელთაც ადრე ჰქონდათ სამუშაო, დიდი ხანია არ უმუშავიათ. მაგალითად, 1990 წლის შემდეგ, 11 წლის განმავლობაში, ამ კატეგორიის უმუშევართა 22,4 პროცენტს არასოდეს უმუშავია. რომ არაფერი ვთქვათ ამ ადამიანების ეკონომიკური და ფსიქიკური მდგომარეობის უაღრესად გაუარესებაზე, დევალვაციას განიცდის მათი კვალიფიკაცია, სამუდამოდ ეწურებათ მათ სამუშაოზე მოწყობის იმედი და მთელი ცხოვრება ისინი სხვისი ხელის შემყურენი უნდა დარჩნენ.

როგორც აღწერის მონაცემები გვიჩვენებს, აღწერებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მიგრაციული პროცესების ინტენსივობა. ქვეყნის ფარგლებში გადაადგილებულთა რაოდენობამ 1 169.9 ათასი კაცი შეადგინა. დაბადების ადგილი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი კი 1 262.6 ათასმა კაცმა შეიცვალა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 28,9 პროცენტს უდრის. ამავე დროს, აღწერამ დააფიქსირა 161 802 იძულებით ადგილნაცვალი პირი, რომელთაგან 55 პროცენტი ქალია, 45 პროცენტი კი – მამაკაცი. მათი 73 პროცენტი საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. ადგილნაცვალ პირთა ძირითადი უმრავლესობა – 98,9 პროცენტი ქართველია, რომელთა საშუალო ასაკი 37,6 წელია. ამასთან, უკანასკნელ წლებში, უმთავრესად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან (3 683 კაცი, ანუ 98,2 პროცენტი), 3 751 ლტოლვილი შემოვიდა. ლტოლვილთა ძირითადი ნაკადი – 3 327 კაცი, ანუ 88,7 პროცენტი რუსეთის ფედერაციიდან არის.



საქართველოდან მიგრირებულთა 78,4 პროცენტი საზღვარგარეთ ძირითადად ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად წავიდა. წასულთა შორის 81 პროცენტი შრომისუნარიან ასაკშია. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოდან მიგრირებულთა უმრავლესობა თავისუფლად ფლობს რუსულ ენას (58 პროცენტი); ინგლისური იცის 3 პროცენტმა; ბერძნული – 2,9; გერმანული – 1,7; ფრანგული კი – მხოლოდ 0,4 პროცენტმა. ემიგრირებულთა 70 პროცენტი აპირებს უახლოეს წლებში სამშობლოში დაბრუნებას, 27,8 პროცენტს კი დაბრუნების სურვილი არ აქვს.

აღწერის შედეგების მეოთხე ტომში განხილულია შინამეურნეობებისა და საბინაო პირობების საკითხები. 2002 წლის აღწერის მონაცემებით 1 243 158 შინამეურნეობა დაფიქსირდა. შინამეურნეობების (ოჯახების) წევრთა რიცხოვნობამ ქვეყანაში 4345686 კაცი შეადგინა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 99,4 პროცენტს უდრის. მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი (0,6 პროცენტი) კოლექტიურ შინამეურნეობებში ცხოვრობს. შინამეურნეობების (ოჯახების) საშუალო სიდიდე 3,5 კაცს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 1970 წელს 3,9 კაცს უდრიდა.

მოსახლეობის აღწერა მეტად შრომატევადი სამუშაოა. ამიტომ აღწერის ჩატარებისათვის მზადება ყველა ქვეყანაში 6-7 წლით ადრე იწყება, ზოგიერთ ქვეყანაში კი აღწერის დამთავრებისთანავე იწყებენ მზადებას მოსახლეობის მომავალი აღწერისთვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ 2004 წლის ნოემბერში ჟენევაში ტარდება სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურების წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც 2010 წლისათვის მსოფლიოს ქვეყნებში მოსახლეობის აღწერის ჩატარების საკითხსაც განიხილავენ. ამიტომ საჭიროა, დროულად, რაც შეიძლება მალე იქნეს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტი, რათა წლეულსვე დავიწყოთ მზადება 2010 წლის მოსახლეობის აღწერის ჩატარებისათვის. ჩვენ მოვალენი ვართ 2010 წლისათვის ვიცოდეთ ერთიანი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და მისი შემადგენლობა.

**ლეო ჩიქავა,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.**

**ანზორ თოთაძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

◎ „სიცოცხლის პროგრამა"

# ვირწმუნოთ საკუთარი თავის!

## საჭიროა ბრძოლა

**მოდით, ჩავუფიქრდეთ სიტყვათა შეთანხმებას „ვირწმუნოთ საკუთარი თავის", გამოვყოთ ორი ძირითადი სიტყვა – „საკუთარი თავი", ანუ „მე" და „რწმენა". არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი დარწმუნებულია საკუთარ თავში, თუმცა ამას არაფერი აქვს საერთო ისეთ თვისებასთან, როგორიც არის თავხედური თავდაჯერებულობა. საკუთარ თავსა და ძალებში დარწმუნებული ადამიანები ცხოვრებაში თითქმის ყველაფერს აღწევენ, თვითდაჯერებულები კი ხშირად საბედისწერო შეცდომებსაც უშვებენ.**



მაინც, საიდან ეუფლება ადამიანს რწმენა საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობაში? ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს თვისებები ადამიანს ჯერ კიდევ ბავშვობაში უყალიბდება. მაგრამ ეს ხშირად არის აგრეთვე დასახული მიზნის მიღწევის გზაზე სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულის დაძლევის შედეგი. ასეთ ადამიანს, რასაკვირველია, ზოგჯერ შეიძლება ეჭვიც შეეპაროს თავის შესაძლებლობებში, მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, – მოქმედების ადამიანია, რომელიც მთელ თავის სასიცოცხლო ენერგიას მოახმარს დასახული მიზნის მიღწევას და მისთვის უსაფუძვლო ეჭვი, აკვიატებული აზრები მიუღებელია. როგორ ვისწავლოთ ყოველივე ეს, როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება, როგორ დავამყაროთ ჰარმონიული ურთიერთობა ირგვლივმყოფებთან, როგორ გავიკაჟოთ ჯანმრთელობა? ხშირად ხდება ხოლმე, რომ ავადმყოფობა ადამიანს აკარგვინებს წონასწორობას, რადგან მას აღარ შეუძლია ნორმალურად იცხოვროს და იმუშაოს. მას ერთთავად ახსენებს ძველი სნეულებები და სატკივარი, ახლობელი ადამიანის ავადმყოფობა, უფუჭდება ხასიათი, წარმოიქმნება სირთულეები სხვებთან ურთიერთობაში. ავადმყოფობა და მასთან დაკავშირებული რეაქციები ერთმანეთისგან განუყოფელია.

ასეთ შემთხვევებში, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ საკუთარ თავში და დავისახოთ მიზანი, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა.

## სიცოცხლის პროგრამა ბუნებამ ჩადო ჩვენში

**რატომ ხდება ხშირად, რომ მძიმე სენი ზოგიერთისთვის სიკვდილით მთავრდება, ზოგს კი გადააქვს ადვილად, როგორც მსუბუქი გაცივება. რატომ ხდება, მაგალითად, რომ მსახიობი მაღალი სიცხით წარმატებით გამოდის სცენაზე და ხშირად ყოფილა, რომ სპექტაკლის დასრულებისას გამოჯანმრთელებულა კიდეც? იმიტომ ხომ არა, რომ ამ ადამიანებს აქვთ მიზანი და უფრო მეტად სურთ სიცოცხლე? შექსპირი წერდა, რომ ჩვენი სხეული ბაღია, ჩვენი სურვილები კი – მებაღეები. როცა ჩვენ საყვარელ საქმეს ვაკეთებთ, ან, მაგალითად, მთელი სულითა და გულით მივიჩქარით ჩვენთვის საყვარელ და ძვირფას ადამიანებთან შესახვედრად, ფსიქიკა უბრალოდ უგულებელყოფს ყოველგვარ დაავადებას და განამტკიცებს ჩვენს გენებში ჩადებულ „სიცოცხლის პროგრამას". ყოველივე ამის შედეგად ავადმყოფობა, თვით ძალზე მძიმე დაავადებაც კი, უკან იხევს. ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმში ჩადებულია თვითგანკურნების უნარი. ექიმებისათვის ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა ადამიანები განიკურნენ კიბოსაგან, თვით ყველაზე უიმედო შემთხვევებშიც კი.**

თუ ადამიანის შინაგანი მდგომარეობა დათრგუნულია, მისი იმუნური სისტემაც სულ სხვა პროგრამას ემორჩილება.

ჯანმრთელობა არის საკუთარი ძალების რწმენის, ასე ვთქვათ, მეორე მხარე. ადამიანი, რომელსაც არაფერი არ სურს, რომელიც კარგავს ცხოვრების არსის შეგრძნებას, ჯანმრთელი ვერ იქნება. ბუნებას სჭირდება მოქმედი ადამიანი. სწორედ ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, შევარჩიოთ ჩვენთვის სწორი სტრატეგია დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში.

## როგორ შეიძლება მალე გამოჯანმრთელება?

**მეცნიერთა აზრით, ჯანმრთელობის შენარჩუნების ან გაკაჟებისათვის გამიზნული ნებისმიერი მოქმედება ქმნის თავის ტვინის ქერქში გამოჯანმრთელების გეგმას, ეგრეთ წოდებულ მოსალოდნელ შედეგთა სქემას. ეს გეგმა გადაეცემა ტვინის ქერქისქვეშა სავეგეტაციო ცენტრებს, რომლებიც განაგებენ მთელ ენდოკრინულ სისტემას ორგანიზმში აღდგენითი პროცესებით. და ქვეშემეცნებით დონეზე, ტვინი ახორციელებს გამოჯანმრთელების პროგრამას.**

ამიტომ, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს დაავადება, ყოველთვის არსებობს გამოჯანმრთელების შანსი. მაგრამ იმ დროს ძალზე მნიშვნელოვანია, როცა ადამიანი დარწმუნებულია საკუთარ ძალებში. ასეთ სიტუაციაში კი ჩვენი მთავარი მტერი უმოქმედობაა. ზოგჯერ ავადმყოფ ადამიანს უჭირს დაინახოს მიზანი, რომლის გამოც ღირს სიცოცხლე. მას ხომ დაკარგული აქვს საკუთარი თავის, გამოჯანმრთელების რწმენა. მაგრამ ამ მიზანს გვიკარნახებს თვით ბუნება, თვით სიცოცხლე, ოღონდ, საჭიროა პირველი ნაბიჯის გადადგმა.

ჰომეოპათია, მუსიკათერაპია, განკურნება ცეკვით, მკურნალობა კრისტალებით – ყოველივე ეს გვაბრუნებს ბუნებასთან. აქტიურდება ფსიქიკა, გვეუფლება ახალი შეგრძნებები, ჰარმონიის გრძნობა. ჩვენ ნათლად ვხედავთ, თუ რისთვის ღირს, ვიცოცხლოთ სრულფასოვანი ცხოვრებით. ისღა დაგვრჩენია, რომ გამოვნახოთ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, შევადგინოთ შემდგომი მოქმედების გეგმა და მტკიცედ დავიცვათ იგი.

## გამარჯვებულთა სკოლა

**ადამიანს საკუთარი ძალების რწმენა უყალიბდება თანდათანობით, მთელი ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 5 წლამდე ასაკის პერიოდი. ამიტომ, ყველა მშობელმა უნდა იცოდეს, რომ მასზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბავშვის ბედნიერება და ჯანმრთელობა. თუ ადრეულ ასაკში ბავშვი ვერ შეძლებს საკუთარ ძალებში დარწმუნებას, მოგვიანებით მას ძალზე გაუჭირდება ცხოვრების და ბედის უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა. და ამიტომაც ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი ადამიანი მიმართავს დახმარებისათვის ფსიქოლოგებს.**



თუ მშობლები არ ეცდებიან, დათრგუნონ ბავშვში ინიციატივა და მოქმედების თავისუფლება, გონივრულად წაახალისებენ მის წარმატებებს, თუნდაც არც ისე მნიშვნელოვანს, და ამასთან, შეძლებენ მოთოკონ, ასევე ზომიერების ფარგლებში, მისი ხასიათის ნეგატიური გამოვლინებანი, ადამიანი უკვე ბავშვობიდანვე ირწმუნებს საკუთარ ძალებს.

და პირიქით, ბავშვს, რომელსაც თითქმის ყველაფერს უკრძალავენ და მშობლების ზედმეტ მეურვეობას განიცდის, შესაძლოა, განუვითარდეს არასრულფასოვნების მტკიცე კომპლექსი.

ბავშვობაში უფროსების აზრს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. და თუ იგი იგრძნობს, რომ სიმართლისთვის და გულწრფელობისთვის, მისთვის დამახასიათებელი საქციელისთვის შეიძლება დაისაჯოს, ბავშვი აუცილებლად დაიწყებს თამაშს სხვისი წესებით და დაკარგავს ინდივიდუალურობას. მოგვიანებით, ირგვლივ მყოფი ადამიანები და მთელი საზოგადოება დაიკავებს მშობლების ადგილს, რომელთა აზრიც, უკვე მოზრდილმა ადამიანმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რათა ყველას თვალში კარგი იყოს.

ამიტომ, გამარჯვებულთა სკოლის რკინის კანონი ასეთია: საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის აღზრდა შეუძლიათ მხოლოდ იმ მშობლებს, რომლებსაც ძალიან უყვართ თავიანთი შვილი და პატივს სცემენ მას, შეუძლიათ მიიღონ იგი ისეთი, როგორიც არის.

## როგორ განვივითაროთ რწმენა საკუთარ თავში

**თუ თქვენ გრძნობთ, რომ რწმენა საკუთარ თავში არის ის, რაც გაკლიათ, შეეცადეთ განივითაროთ ეს თვისება. პირველი ეტაპისათვის უნდა შეიგნოთ, რომ გაქვთ გარკვეული უფლებები და ისწავლოთ ამ უფლებებით სარგებლობა. რა უფლებებია ეს?**

გაქვთ უფლება, თქვათ უარი და ამ დროს არ იგრძნოთ თავი ეგოისტად. არ შეგეშინდეთ იმის, რომ ვინმეს მოეჩვენოთ გულცივ ადამიანად, თუ უარს იტყვით ამა თუ იმ თხოვნის შესრულებაზე. თანაც, გახსოვდეთ, რომ ყველასათვის მოსაწონი ვერ იქნებით.

გაქვთ უფლება, არ იმართლოთ სხვების წინაშე თავი თქვენი ქცევის გამო. საკუთარ თავში დაურწმუნებელ ადამიანს ადვილად შევნიშნავთ იმის მიხედვით, რომ იგი მუდამ იმართლებს თავს და იხდის ბოდიშს, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს საჭირო არ არის.

გაქვთ უფლება, ვიღაცას არ მოსწონდეთ. ყველას თავს მაინც ვერ მოაწონებთ, ამიტომ იყავით ისეთი, როგორიც ხართ, და მაშინ ადვილად გაარკვევთ, თუ ვინ არის ვინ თქვენს ირგვლივმყოფ ადამიანებს შორის: ვინ მეგობარია, ვინ – მტერი, ვინ კი – უბრალოდ ამხანაგი.

გაქვთ უფლება, შეაფასოთ საკუთარი საქციელი, აზრები და გრძნობები. იყავით დამოუკიდებელი ირგვლივმყოფთა აზრისგან, ორიენტირად ნუ დაისახავთ სწორედ იმას, თუ რას ფიქრობენ თქვენზე სხვები.

გაქვთ უფლება, შეცვალოთ თქვენი აზრი. რა თქმა უნდა, ადამიანს უნდა ჰქონდეს ცხოვრების რაღაც პრინციპი, მაგრამ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება.

გაქვთ შეცდომის დაშვების და ამ შეცდომებისათვის პასუხისმგებლობის უფლება. ნუ შეგეშინდებათ, თუ შეცდომას დაუშვებთ – ეს აუცილებელიცაა ადამიანის ნორმალური განვითარებისათვის. ხომ გაგიგიათ, შეცდომებზე ვსწავლობთო.

გაქვთ უფლება, გადაწყვიტოთ, საჭიროა თუ არა, გაიზიაროთ სხვისი პრობლემები და პასუხისმგებლობა ამ პრობლემების გამო. თუ ვინმეს სურს, თქვენ დაგაკისროთ თავისი პრობლემა, ყოველთვის გაქვთ უფლება, უარით გაისტუმროთ იგი.

გაქვთ უფლება, არ იცოდეთ. ზოგჯერ ადამიანს ეშინია, აღიაროს, რომ რაღაც კარგად არ იცის – ამ დროს უწევს თანამოსაუბრეს აარიდოს თვალი ან ერთთავად უქნიოს თავი თანხმობის ნიშნად. ასეთ შემთხვევებში ნუ მოგერიდებათ და გულახდილად აღიარეთ: „მე ეს არ ვიცი".

გაქვთ უფლება, იყოთ დამოუკიდებელი მაშინაც კი, როცა ვიღაც ცდილობს თქვენს შებრალებას ან თქვენდამი თანაგრძნობის გამოხატვას. თუ ვინმე ამბობს, რომ ებრალებით, ამით თქვენ უნებლიეთ ექცევით მისი ზემოქმედების ქვეშ, ერთბაშად თუ არა, თანდათანობით მაინც. ამიტომ ნურავის მისცემთ თქვენი შებრალების უფლებას.



იხ. მე-8 გვ.

◎ გვწერენ

# გვითხარით სიმართლე დურუჯზე, ყვარელზე...

**ამას წინათ ეროვნული ბიბლიოთეკის ფოიეში საუბარი ჩამოვარდა თბილისში შექმნილ მძიმე სანიტარიულ მდგომარეობაზე. საუბარში მეც ჩავერთე და ვთქვი, რომ პრესის მეშვეობით აქტიურად ვებრძვი ამ უსგავსობას.**

თბილისში კიდევ რა უჭირს, მითხრეს მათ, რაიონებში უფრო უარესი მდგომარეობა არისო. მაგალითად მოიყვანეს ყვარელში მდინარე დურუჯის სანაპირო, რომელიც თურმე ნაგვის საყრელად არის გადაქცეული.

მე ვსვამ უმარტივეს კითხვას: რა წარმოშობს უმძიმეს და უსაშიშროეს ეპიდემიურ დაავადებებს? რა თქმა უნდა, დიდი სიბინძურე და ზაფხულის მცხუნვარება. ჩვენ არც ერთი გვაკლია და არც მეორე, ორივე ერთდროულად გვიტევს.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? არაფერს. ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია, ველოდებით ეპიდემიის დაწყებას. თანაც ვიცით, რომ ამ საქმეს არასპეციალისტთა ძველი არმია ემსახურება.

იმ საუბრებიდან ისიც გავიგე, რომ დურუჯზე ცემენტის ქარხანა აუშენებიათ. თუ ამ მდინარის ჩამონატანი ცემენტისთვის ვარგისია, ავშენებულვართ და ეგ არის. დურუჯი დიდ საშიშროებას უქმნიდა და უქმნის ყვარელს, მაგრამ ვიცით კი რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მის მღვრიე წყალს?

ჩვენ რომ გერმანელებივით პრაგმატული ხალხი ვიყოთ, დურუჯი დამორჩილებული და ლაგამამოდებული გვექნებოდა: ენერგიასაც მოგვცემდა, თევზსაც, სარწყავ წყალსაც და უძვირფასეს სასუქსაც. მისი წყლის ერთი წვეთიც კი არ არის დასაკარგავი. მაგრამ უფიქრია კი ვინმეს მის კომპლექსურ გამოყენებაზე? თუ იფიქრეს, საქმე რატომ არ ჩანს?

დურუჯის გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გავზარდოთ ღვინო „ქინძმარაულის" რაოდენობა, რაზეც ასეთი დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოს ბაზარზე. წყალიც გავიტანოთ ზვრებში და ლამიც. არ შეიძლება, ძნელია? აბა, გერმანელებს და ჰოლანდიელებს ვკითხოთ, როგორ ახერხებენ ყოველივე ამას.

გვაქვს დიდი წყალსატევები მდინარის ზემო წელში, ხევებში, ან გვიფიქრია ამაზე?

მოდით, საყვედურებს თავი გავანებოთ და საქმეს მივხედოთ, მოვძებნოთ სპონსორები შინ და გარეთ, ჯერ შევისწავლოთ კარგად, თუ რისი მოცემა შეუძლია დურუჯს და მერე შევუდგეთ საქმეს.

დღეს დურუჯის ხსენებაზე ბევრ ყვარლელს ტანში აჟრჟოლებს, ახსოვთ ამ მდინარის გაცოფება და მისგან გამოწვეული ნგრევა. ეს საფრთხე მანამ იარსებებს, სანამ დურუჯს საერთოდ არ დავიმორჩილებთ. თუ ჩვენი ცოდნა საკმარისი არ არის, მოვიწვიოთ მცოდნეები, გავაკეთოთ სანიმუშოდ, ნიჭიერად, საქმის ცოდნით და არა ჰაიჰარად, როგორსაც ჩვეული ვართ.

მწერლებო, ჟურნალისტებო, კალმის ხალხო, ინჟინრებო და აგრონომებო, გაგვაცანით დურუჯი და ყვარელი ისე, როგორც საჭიროა. სისუფთავეს როგორმე ეშველება, მთავარია ნაგვის გამოყენება და კომპოსტის დამზადება. ახლა კი კომპოსტზე რა უნდა ველაპარაკოთ ჩვენს თვინიერ და შრომისმოყვარე კახელებს, როდესაც მათ ნაკელის კარგად, რიგიანად გამოყენებაც კი არ შეუძლიათ და ღელეებსა და ხევ-ხუვებში ყრიან.

**ვაჟა სილაგაძე,**
**პენსიონერი პედაგოგი, ისტორიკოსი, მხარეთმცოდნე, ტურიზმის ინსტრუქტორი.**

◎ „სტაჟიანი“ დაზარალებულები

# „ძლივსაშენდას“ ეპოქის დასასრული?!

(მეოთხე გვერდიდან)

ბინების ან კომპენსაციის მოლოდინში საქართველოში სადღეისოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შვიდი ათასზე მეტი ოჯახია, რომელთაგან ნახევარზე მეტი თბილისში ცხოვრობს, დანარჩენები – ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ქალაქებში. ბოლო დროს, კანონის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა წინაშე სახელმწიფო ვალის გასტუმრება ადგილობრივი მართვის ორგანოებმაც იტვირთეს. პროცესი, მართალია, ძალზე ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო თბილისში, რუსთავში, ხაშურში, სხვა ქალაქში. თუმცა ერთია: – ამ მწვავე საკითხის გადაჭრას სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხით ეკიდება. ამას თუნდაც ის გარემოებაც მოწმობს, რომ კოოპერატიულ ბინათმშენებელთა წინაშე სახელმწიფო დავალიანების გასტუმრების ლომის წილი თბილისზე მოდის.

ეს კი სამაგალითო ნამდვილად არ არის.

## „ჩვენ არავის მათხოვრები არა ვართ“

ქალბატონ ნანა წიქარიშვილის თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კოოპერატიულ ბინათმშენებელთა ვალის გასტუმრების წილი გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, თუმცა თბილისის ხელმძღვანელობამ პრიორიტეტი დედაქალაქის გზების შეკეთებას მიანიჭა. თქმა არ უნდა, თბილისში მრავალი ქუჩა მისახედი ძალიან დიდი ხნის წინათაც იყო, მაგრამ ახლა მათი შეკეთება-განახლება ბინისა თუ კომპენსაციის მომლოდინესათვის ბევრი ვერაფერი შეღავათია.

– თითოეულ ჩვენგანს საკუთარი თავი თავადვე გვყავს დაფინანსებული და ვინმეს სახვეწი და სამათხოვრო არაფერი გვიჭირს. ყველა ჩვენი აუშენებელი საცხოვრებელი ბინა – თავისი ხარჯთაღრიცხვით, და სხვა, და სხვა, თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის სამსახურის ბალანსზე იმყოფება. ამდენად, ჩვენ მხოლოდ იმას ვითხოვთ, რაც გვეკუთვნის, – გულდაწვეტით ამბობს ქალბატონი ნანა. – უფრო მეტიც: ჩვენ ქალაქს იქით ვეხმარებოდით სამოქალაქო დაპირისპირების აშორებაში, მიწისძვრით დაზარალებულთა დაშოშმინებაში. აფხაზეთში ომის პერიოდში უკლებრივ ყველა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის აბსოლუტურად ყველა (!) წევრმა თავდაცვის ფონდში ათას-ათასი მანეთი გადარიცხა, რამაც, საბოლოოდ ანგარიშით, 7 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ამიტომ, ვფიქრობ, დადგა დრო, როცა თბილისის მერიამ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, ჩვენზე უფრო მეტად უნდა დაიწყონ ზრუნვა.

## ცოტაოდენი სტატისტიკა

ესე იგი, სადღეისოდ საქართველოში, 92 კოოპერატიული სახლია, მათ შორის, თბილისში – 45. ქვეყანაში დასაკმაყოფილებელია 7186 ოჯახი, აქედან თბილისში – 4500. მთლიანად თბილისში აშენდება 11 სახლი, არ აშენდება – 34.

საქართველოში, მთლიანად, სხვადასხვა სახეობის კომპენსაციით უკვე დაკმაყოფილებულია 399 ოჯახი, მათ შორის ფულადი კომპენსაცია მიიღო 60 ოჯახმა, ქონებრივი კომპენსაცია – 18-მა, ხოლო დანარჩენმა 321-მა – საცხოვრებელი ბინა.

## კანონმორჩილი ბენდუქიძე

წლეულს კოოპერატიული ბინათმშენებლობისათვის სახსრები არც სახელმწიფო, არც ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ იყო. ამიტომ სახელმწიფო ვალის გასტუმრება მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოუწევს. უწინ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად მაშინდელი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რომელიმე ჩინოვნიკის საჭირო საბუთზე ხელის მოწერას თვეები სჭირდებოდა. ახლა, როგორც ჩანს, პრობლემის გადაწყვეტისადმი სამთავრობო დონეზე მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა.

– ახლახან, კერძოდ, 19 აგვისტოს, ჩვენ შევხვდით ეკონომიკური განვითარების მინისტრს კახა ბენდუქიძეს, რომელმაც დიდი გულისყურით მოისმინა ჩვენი სატკივარი, ყოველგვარი დახმარების გაწევა აღგვითქვა. დიდი კმაყოფილებითა და მადლიერების გრძნობით მინდა განვაცხადო, რომ მისი თანადგომის პირველმა შედეგმაც არ დააყოვნა, – ამბობს ასოციაციის პრეზიდენტი.

კმაყოფილების მიზეზი კი ქალბატონ ნანა წიქარიშვილს, ვფიქრობ, ნამდვილად აქვს: ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის 31 აგვისტოს № 1-1/82 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციას გადაეცა იაშვილისა და ჩაიკოვსკის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა, რომლის მშენებლობის დასრულების შემდეგ დაკმაყოფილდება დაახლოებით 100 ოჯახი. საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფო ვალიდან ჩამოიწერება 3 მილიონ ლარზე მეტი. ეს ორჯერ აღემატება ბოლო სამ წელიწადში დაკმაყოფილებულ ბინათმშენებელთა გასტუმრებული ვალის მოცულობას.

ეს კი, დაგვეთანხმებით, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკმაოდ მძიმე გზაზე.

**ოთარ ტურაზელიძე.**

◎ ფეხბურთი

# შედეგი დამაიმედებელია, მაგრამ...

**გამარჯვების ტოლფასი ფრე – ალბათ, ასე შევაფასებდით თურქეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა მატჩის შედეგს, მეტოქე შარშანწინდელივით მრისხანე ძალას რომ წარმოადგენდეს.**

ამავე დროს, ნურც მეორე უკიდურესობაში გადავვარდებით – ასეა თუ ისე, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის სტარტზე პირველი ქულა სტუმრადაა მოპოვებული, თანაც ტრაპიზონში, სადაც ორიოდე წლის წინათ ჩვენმა ისტორიულმა მეზობლებმა ამხანაგურ შეხვედრაში კუდით ქვა გვასროლინეს – 3 : 0.

**თურქეთი – საქართველო**
**1 : 1 (0 : 0)**

***თურქეთი – რუშთუ, სერჰანი, დენიზი, იბრაჰიმი, ემრე, უმითი, ოქანი, თუნჯაი, შუქური, ფათიჰი, შაში. ითამაშეს აგრეთვე ჰუსეინმა, ნიჰათმა და კარადენიზმა.***

***მწვრთნელი – ერსუნ იანალი.***

***საქართველო – დევაძე, მჟავანაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, ხიზანეიშვილი, კვირკველია, ცქიტიშვილი, რეხვიაშვილი, ჯამარაული, დემეტრაძე, შ. არველაძე. ითამაშეს აგრეთვე ასათიანმა, ჯაკობიამ და კვარაცხელიამ.***

***მწვრთნელი – ალენ ჟირესი.***

***მსაჯი – მედინა კანტალეხო (ესპანეთი).***

*გოლები – ფათიჰი (49-ე წთ.), ასათიანი (85-ე წთ.).*

*გაძევება – შაში (59-ე წთ.)*

ამთავითვე მოვჭრით – წარმატებული დებიუტის მიუხედავად, ეიფორიას არ უნდა მივეცეთ, რადგან ჩვენი გუნდის თამაშში კვლავაც მრავლად შეინიშნება მსხვილმან-წვრილმანი ხარვეზები. როცა ამას ვამბობთ, შემდეგ გარემოებებს ვგულისხმობთ: დაცვის ცენტრალურ ზონაში „ჯვაროსნებმა“ არაერთი პოზიციური შეცდომა დაუშვეს; მინდვრის ცენტრში ბურთის დაჭერას ვერავინ ახერხებდა, რამაც ბუნებრივად დაბადა კითხვა – გვყავს კი, საერთოდ ნახევარდაცვა?; ფორვარდებმა ერთი ხიფათიც კი ვერ შექმნეს მასპინძელთა კართან – რამდენიმე სახიფათო მომენტი ცქიტიშვილის შესრულებულ საჯარიმოებს მოჰყვა. სხვათა შორის, ვერც შექმნიდნენ – რგოლებს შორის გაწყვეტილი იყო კავშირი და ყოველი მეორე, მაქსიმუმ მესამე გადაცემის შემდეგ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბურთი იკარგებოდა.

ამავდროულად, ადვილად შესამჩნევი გახლდათ ის ღირსებები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, მომავალშიც სასურველ შედეგებს მოგვიტანს. მათგან უჩვეულო თავგანწირვას, ბურთის კოლექტიური ართმევის უნარსა და სტანდარტული სიტუაციების დახვეწას გამოვარჩევთ.





დასასრულ, ორიოდე სიტყვა მსაჯობაზეც ვთქვათ: დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრები, ალბათ, უკვე გაცილებით ომახიან სიტყვას იტყოდა საერთაშორისო სარბიელზე, ესპანელ არბიტრ მედინა კანტალეხოსავით ობიექტური „შაოსნები“ რომ გაძღოლოდნენ მის თამაშებს. ვიმეორებთ – ობიექტური, თორემ კვალიფიციურობის დეფიციტს ცოტანი თუ უჩიოდნენ. ვისურვოთ, პირველ მერცხალს გაზაფხული მოეყვანოს.

## დანარჩენი შედეგები:

**ევროპა**

I **ჯგუფი:** რუმინეთი – მაკედონია 2 : 1, ფინეთი – ანდორა 3 : 0.

**ხვალ ითამაშებენ:** ანდორა – რუმინეთი, სომხეთი – ფინეთი, ჰოლანდია – ჩეხეთი.

II **ჯგუფი:** დანია – უკრაინა 1 : 1, ალბანეთი – საბერძნეთი – 2 : 1.

**ხვალ ითამაშებენ:** საქართველო – ალბანეთი, საბერძნეთი – თურქეთი, ყაზახეთი – უკრაინა.

III **ჯგუფი:** ლატვია – პორტუგალია 0 : 2, რუსეთი – სლოვაკეთი 1 : 1, ესტონეთი – ლუქსემბურგი 4 : 0.

**ხვალ ითამაშებენ:** პორტუგალია – ესტონეთი, სლოვაკეთი – ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი – ლატვია.

IV **ჯგუფი**: საფრანგეთი – ისრაელი 0 : 0, შვეიცარია – ფარერის კუნძულები 6 : 0, ირლანდია – კვიპროსი 3 : 0.

**ხვალ ითამაშებენ:** ისრაელი – კვიპროსი, შვეიცარია – ირლანდია, ფარერის კუნძულები – საფრანგეთი.

V **ჯგუფი:** იტალია – ნორვეგია 2 : 1, სლოვენია – მოლდოვა 3 : 0.

**ხვალ ითამაშებენ:** მოლდოვა – იტალია, ნორვეგია – ბელორუსია, შოტლანდია – სლოვენია.

VI **ჯგუფი:** ავსტრია – ინგლისი 2 : 2, აზერბაიჯანი – უელსი 1 : 1, ჩრდ. ირლანდია – პოლონეთი 0 : 3.

**ხვალ ითამაშებენ:** პოლონეთი – ინგლისი, უელსი – ჩრდ. ირლანდია, ავსტრია – აზერბაიჯანი.

VII **ჯგუფი:** ბელგია – ლიტვა 1 : 1, სან-მარინო – სერბეთი 0 : 3.

**ხვალ ითამაშებენ:** ლიტვა – სან-მარინო, ბოსნია – ესპანეთი.

VIII **ჯგუფი:** მალტა – შვედეთი 0 : 7, ხორვატეთი – უნგრეთი 3 : 0, ისლანდია ბულგარეთი 1 : 3.

**ხვალ ითამაშებენ:** შვედეთი – ხორვატეთი, უნგრეთი – ისლანდია.

**სამხრეთ ამერიკა**

პერუ – არგენტინა 1 : 3, ურუგვაი – ეკვადორი 1 : 0, ბრაზილია – ბოლივია 3 : 1, ჩილე – კოლუმბია 0 : 0, პარაგვაი – ვენესუელა 1 : 0.

ბრაზილია – 16, არგენტინა – 15, პარაგვაი – 14, ჩილე – 12, ეკვადორი, ვენესუელა, ურუგვაი – 10-10, პერუ – 9, კოლუმბია – 8, ბოლივია – 6 ქულა.

**გია პლატონიშვილი.**


# საჯარო სამართლის იურიდიული პირის — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

## სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტი

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი. პროექტი რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და 2001 წლის თებერვლიდან გახდა ეფექტური. პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც ხორციელდება შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაცვის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმისათვის შერჩეულია ორი პრიორიტეტული მიმართულება: მევენახეობა და მეხილეობა, ხოლო დაწესებულებები: (ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტი და (ბ) საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრები.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის კომპიუტერული კურსების ჩატარების დასაფინანსებლად. კომპიუტერული კურსი ითვალისწინებს კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ფართოდ გავრცელებული პროგრამების შესწავლას სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენებისათვის.

სასწავლო კურსი უნდა ჩატარდეს კონსულტანტის ტერიტორიაზე და კონსულტანტი უნდა ფლობდეს აღნიშნული პროგრამის ჩასატარებლად შესაბამის ფართობს და კომპიუტერულ ტექნიკას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონსულტანტებს (იურიდიულ პირებს), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის სახელმძღვანელოში „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ“, (გამოცემულია 1997 წლის იანვარში, გადასინჯულია 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) მითითებული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დამყარებული შერჩევის პროცედურების თანახმად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა (იურიდიულმა პირებმა) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს კონსულტანტის ქვემოთ მითითებულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ამ ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს კონსულტანტის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული წესდება, სასამართლოს დადგენილება).

კონსულტანტი (იურიდიული პირი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1. კომპიუტერული კურსების ჩასატარებლად საჭირო ლიცენზია;

2. OS Windows-ის, Microsoft Word-ის, Microsoft Excel-ის, Internet explorer-ის, Outlook Express-ის და Webmail-ის შესასწავლად საჭირო კვალიფიციური პერსონალი ტექნიკური განათლებით ან შესაბამისი სერტიფიკატით;

3. საჭირო ფართობი და კომპიუტერული ტექნიკა;

4. კომპიუტერული სასწავლო კურსების გაძღოლის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

კონკურსით დაინტერესებულ იურიდიულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: 2004 წლის 22 სექტემბერი, 15 სთ.

**მისამართი:**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი; კოსტავას ქ. №41, III სართული, ოთახი 324.

ელ-ფოსტა: **office @ adpcc. org/ ge**

საკონტაქტო პირი: ნანა ყუფუნია, ტელ: 93-46-51; 92-20-38.



**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გეოლოგიის დეპარტამენტი**

**აცხადებს გეოლოგიური საქმიანობის სალიცენზიო საქმისწარმოების დაწყებას შემდეგ ორგანიზაციებზე: შპს „მშენპროექტი“ – საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოებზე; შპს „კავტრანსპროექტი“ – საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოებზე.**

ზეპირი მოსმენა გაიმართება დეპარტამენტში 2004 წლის 22 სექტემბერს, 12 საათზე. მისამართი: თბილისი, მოსაშვილის 24, ოთახი 55.

საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადაა 2004 წლის 20 სექტემბრამდე. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა ზეპირი მოსმენიდან 10 დღის ვადაში.



**გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქნავთობის კომერციული ცენტრის“ ლიკვიდაცია.**

ყველა დაინტერესებულ პირს გთხოვთ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 65, მე-5 სართული.

**შპს „საქნავთობის“ კომერციული ცენტრის დირექტორატი.**


◎ რეგიონი

# საჩხერე გულში იხუტებს ჩემპიონს

**კოკისპირული წვიმის მიუხედავად, 5 სექტემბერს საჩხერის ცენტრალურ სტადიონზე ნემსიც არ ჩავარდებოდა, ისე გადაიჭედა ტრიბუნები. ცა ჩამოიქცა, მაგრამ გულთაგან ისეთი ცეცხლი იფრქვეოდა, იქ, ათენში, ქართველმა ოლიმპიელებმა რომ ააგიზგიზეს.**

მშობლიური საჩხერე გულში იხუტებდა ოლიმპიადის ოქროსმედალოსან გიორგი ასანიძეს. მის გვერდით იდგნენ ოლიმპიური „ოქრო-ვერცხლით“ მკერდდამშვენებული ზურაბ ზვიადაური და რამაზ ნოზაძე, ელოდნენ ნესტორ ხერგიანსაც...

– გიორგისთან ერთად მთელმა საქართველომ აიტაცა ის სიმძიმე, – ამაყობს იმერეთის ვიცე-გუბერნატორი გია თევდორაძე.

რაიონის გამგეობა ოლიმპიურ ჩემპიონს ოქროს მინიატიურულ შტანგას უსახსოვრებს.

– ორმოცი წლის წინათ სკოლაში შეშის სათავსო სპორტდარბაზად გადავაკეთეთ, – იგონებს საჩხერის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ლაშხი, – იქ აიდგეს ფეხი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ელგუჯა დვალმა და სხვა ცნობილმა სპორტსმენებმა. აქვე აღიზარდა გიორგი ასანიძეც. მისი პირველი მწვრთნელი გიორგი თოდაძე გახლდათ, „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს“... გიორგის ბაბუა მჭედელი იყო და რკინასთან შეჭიდების ტრადიცია მათ ოჯახს ოდითგანვე მოსდგამს.

ოცდაცამეტიდან 12 ქართველი ოლიმპიელი თბილისის სახელმწიფო



უნივერსიტეტის აღზრდილია. გიორგი ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობს, – ბრძანა უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა და თავისი შეგირდი ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვა.

ოლიმპიელებს მიესალმნენ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ქუთაისის მერი გია გიორგაძე, მწვრთნელი ვანო გრიქუროვი, პედაგოგი ელზა გივიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა, რევაზ არველაძე, ჯულია ხოფერია და სხვები.

„ვეფხისა და მოყმის“ მოდგმის რაინდებს მერაბ სეფაშვილმა, სულხან ჭიღლაძემ, სოფიო ცარციძემ, ლელა ძინძიბაძემ, მანანა ტატაშიძემ და ანსამბლმა „ფორტემ“ უგალობეს. ცეცხლოვანი ცეკვებით მოხიბლეს მაყურებელი სოსო დეკანოიძის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრებმა...

მუსიკის ჰანგები გვიან ღამემდე ეფინებოდა საწერეთლოს. ეზეიმებოდა და ზეიმობდა საჩხერე.

**სოზარ კუპატაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◎ რაგბი

# ჩემპიონატი პრობლემებით დაიწყო

**კვირას საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრებაში 6 გუნდი მონაწილეობს – თბილისის „ყოჩები“, „ლოკომოტივი“, „ლელო“ და „აკადემია“, ბათუმის „დათვები“ და ქუთაისის „აია“.**

პირველ ტურში „ყოჩები“ ვარკეთილში „ლელოს“ შეხვდნენ. მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. თუმცა ლელოელები მალევე დაეუფლნენ ინიციატივას და ფირფილაშვილმა ლელოთი და ბარკალაიამ გარდასახვით თავიანთი გუნდი დააწინაურეს. ორთაბრძოლის ბოლომდე „სტუმრები“ ფლობდნენ უპირატესობას. თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე „ლელო“ 20:16-ს იგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე „ყოჩებმა“ მოგება გამოგლიჯეს მეტოქეს – 23:20 გაიმარჯვეს.

ბათუმის „დათვებმა“ „აკადემიას“ უმასპინძლეს. ზღვისპირელებმა უწინდელი ფხა ვერ გამოიჩინეს და საკუთარ მოედანზე 11:15 დამარცხდნენ.

კვირასვე „ლოკომოტივი“ შინ „აიას“ უნდა შეხვედროდა, მაგრამ ქუთათურები უსახსრობის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდნენ. პრობლემები აქვთ „დათვებსაც“. ეს ორი გუნდი შეჯიბრებას თუ გამოეთიშა, ეროვნული ჩემპიონატი თბილისის პირველობას დაემსგავსება.

**გიორგი გაგუა.**

◎ ყოველი მხრიდან




## ჩემპიონთა ლიგა ყოველწლიურად მდიდრდება

**უეფას შემოსავლები ჩემპიონთა ლიგის 2004-2005 წლის სეზონში გასულ სეზონთან შედარებით 19 მილიონი ევროთი გაიზრდება. ტურნირის დებულებით, იმ თანხებიდან, რომელსაც უეფა მიიღებს სატელევიზიო გადაცემათა უფლებიდან და კომერციული საქმიანობიდან 75 პროცენტი განაწილდება ჩემპიონთა ლიგის 32 მონაწილე გუნდს შორის. მაქსიმალური თანხა 519 მილიონ ევროს შეადგენს. დანარჩენი 25 პროცენტი უეფას ყველა საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის საშუალებას მისცემს. 2 მილიონი განაწილდება კლუბებს შორის, კიდევ 2 მილიონი გაიხარჯება ევროპული ფეხბურთის განვითარებისთვის. შეგახსენებთ, რომ 2003 წელს ჩემპიონთა ლიგის მატჩებისგან შემოსავალი 565 მილიონ ევროს შეადგენდა.**

ახალი სეზონი ჩემპიონთა ლიგაში 14 სექტემბერს იწყება. ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობს 32 გუნდი, რომლებიც 8 ჯგუფადაა დაყოფილი. ნოემბრამდე ისინი გამართავენ ორწრიან ტურნირს, რომელიც გამოავლენს ქვეჯგუფებში უძლიერეს 2-2 გუნდს, ისინი პლეი-ოფის სისტემით მაისამდე ითამაშებენ.

## ბილეთები იყიდება

**ბილეთები კრივის საღამოსთვის, რომლის პროგრამაში მთავარი იქნება ვლადიმერ კლიჩკოვსა და დუვარულ უილიმსონის ორთაბრძოლა, უკვე იყიდება 50-დან 325 აშშ დოლარამდე ფასად.**



საღამოს ორგანიზატორებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ 2 ოქტომბერს, ამ ასპარეზობისას 5-ათასიანი არენა გაჭედილი იქნება.

## მინუს სამი

**აშშ ღია ჩემპიონატზე ჩოგბურთში რუსეთელი სპორტსმენი ქალებიდან მომდევნო წრეში გავიდა ელენა დემენტიევა, რომელმაც თანამემამულე ვერა ზვონარიოვა დაამარცხა – 1:6, 6:4, 6:3. დემენტიევას მეტოქე მეოთხედფინალში ფრანგი ამელი მორესმო იქნება.**

ვაჟთა შორის დამარცხდნენ რუსეთელები: მიხაილ იუჟენი – ჩეხ ტომაშ ბერდიშთან – 6:2, 1:6, 3:6, 6:4, 1:6, ნიკოლაი დავიდენკომ ასევე დაძაბულ ბრძოლაში წააგო სლოვაკეთელ ჩოგბურთელ კაროლ ბეკუსთან – 3:6, 6:4, 6:3, 1:6, 4:6.

## ყველა უძლიერესი — სუპერფინალში

**როგორც რუსეთის საჭადრაკო ფედერაციის სამდივნო იუწყება, ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატის უმაღლესი შემადგენლობაში შეყვანილ. ამიტომ ვერცერთი წამყვანი დიდოსტატი სუპერფინალად წოდებულ ამ შეჯიბრებას ვერ გამოტოვებს – მას არც ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანენ და არც უძლიერეს საერთაშორისო ტურნირებში მიავლენენ.**

ისტორიაში პირველი ასეთი სუპერფინალი 14 დიდოსტატის მონაწილეობით 9 ნოემბერს იწყება. პერსონალურად მიწვეული არიან გარი კასპაროვი, ვლადიმერ კრამნიკი, ანატოლი კარპოვი, პეტრე სვიდლერი, ევგენი ბარეევი, ალექსანდრ გრიშჩუკი და ალექსანდრ მოროზევიჩი, დანარჩენებმა კი ეს უფლება შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვეს.

## მარადონას თხოვნა

**ბუენოს-აირესის ცნობილ სტადიონს, სადაც არგენტინის პირველი დივიზიონის კლუბი „არხენტინოს ხუნიორსი“ ატარებს თავის მატჩებს, დიეგო მარადონას სახელი ეწოდა.**

თვით მარადონა განაგრძობს მკურნალობას დელ პარკეს სპეციალიზებულ კერძო კლინიკაში. რახან ჯერჯერობით შედეგები არ ჩანს, მარადონამ თხოვნით მიმართა არგენტინის პრეზიდენტ ნესტორ კირხნესს, რათა საზღვარგარეთ, კუბაში ან შვეიცარიაში მკურნალობის გაგრძელების ნება დართოს.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ცნობილი ქართველი მწერლები (მარცხნიდან) სერგი ჭილაია, ბესარიონ ჟღენტი, გიორგი ლეონიძე და გრიგოლ აბაშიძე.

მოგვაწოდა ამირან ჩხობაძემ.

## ცოტაც გავიღიმოთ...



— ყველა მეუბნება, რომ ჩემი შვილი ზედგამოჭრილი მამამისის ასლია!

— ასე ძალიანაც ნუ განიცდი, მთავარია, რომ ბავშვი ჯანმრთელია.

* * *

— რატომ არის, რომ ფუტკრები თურმე მხოლოდ 30-40 დღე ცოცხლობენ? — კითხულობს მიხო.

— აბა, ერთი მთელი თაფლობისთვის განმავლობაში ფუტკარივით გეშრომა და ვნახავდი, რამდენსაც გაძლებდი, — იკბინება პასუხად მარო.

* * *

შეაგროვეთ „კოკა-კოლას" ათი სახურავი, სიგარეტის თხუთმეტი კოლოფი, ლუდისა და არყის ცარიელი ბოთლები, ოცი პლასტმასის ჭიქა, შოკოლადის ქაღალდები და, საერთოდ, — დაალაგეთ, ბოლოს და ბოლოს, ბინა!

* * *

— სისხლი — სისხლის წილ! — უთხრა პირველივე „შედეგიანი" პაემანის შემდეგ დაშამ მიხოს და ძლიერი დარტყმით ცხვირი გაუტეხა.

* * *

გინდა მილიონები ატრიალო? — დაიწყე ზარაფხანაში მტვირთავად მუშაობა.

* * *

ისე ვარ, როგორც კარგი სურათი მუზეუმში — ყველას მოვწონვარ, მაგრამ ფული ენანებათ.

## გიხაროდეს!

# მარიამი მარიამობას დაიბადა!



— ველოდით და ინებამ სწორედ გოგონა გვაჩუქა, ჩემი ოჯახი დღეს გახარებულია, მან თბილისის მეოთხე სამშობიარო სახლში მოილოგინა. ორი ბიჭი უკვე გვყავს — კახა და ნუგზარი. მარიამობის დღეს დაბადებულ ჩემს მესამე შვილს მარიამი დავარქვით. ჯანმრთელი ბავშვია, გაიზრდება და ძმები დას მაყრებად გაყვებიან... მარიამს ქართველ მანდილოსანთა მოდგმის ღირსეულ გამგრძელებლად გავზრდით.

ძვირფასო რედაქცია, თქვენი გაზეთის მკითხველი ვარ, ვიცი, მომისმენთ და ჩემი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ, თუ დაგვიანებული არ არის, გაგვახარებთ; ნუგზარი რომ შეგვეძინა, მაშინაც იყო თქვენს გაზეთში მილოცვა და ალბათ ახლაც იქნება, — დაგვიკავშირდა მარნეულიდან ილიკო გამყრელიძე.

**ბატონო ილიკო, ქალიშვილის შეძენას გილოცავთ, თქვენს ოჯახს კვლავაც გამრავლებას ვუსურვებთ.**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ფრთხილად!

# ეს პროდუქტები ჯანმრთელობისთვის საშიშია

**სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ „წითელ ხიდზე" ბოლო ერთი კვირის მანძილზე გამოავლინა ადამიანის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში 10 ტონა ტვირთი. კერძოდ: ფქვილი, კვერცხი, ტომატ-პასტა, რძის ფხვნილი, ყველი, კარაქი, ბავშვთა კვების პროდუქტები, ნამცხვრის შეკვრები.**

აღნიშნულ ტვირთებს არ ახლდა ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები და მათი ტრანსპორტირების პირობები არ შეესაბამებოდა სანიტარიული წესებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

— სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ აღკვეთა ჩამოთვლილი ტვირთების გადაადგილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე — განაცხადა ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა საზღვრის ამ მონაკვეთზე, ისე როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გაძლიერდება ინსპექციის კონტროლი, რათა გაურკვეველი შემადგენლობისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საეჭვო კვების პროდუქტმა ჩვენს მომხმარებლამდე ვერ შემოაღწიოს.

**ნაზი იმნაიშვილი.**

## ვაჟაობა

# შვილის ღოღობას ისხის ჩარგალი

რა კარგი დღეა, წმინდა, ხალასი!
ვეწვიოთ ვაჟას, ვით ახლობლები,
მერე გავშალოთ სუფრა ჭალაში
და მოვიგონოთ მისი მშობლები;

მერე დავლოცოთ პატარა ქოხი,
ყური მივუგდოთ სუნთქვას მთებისას,
და ქუდის მოხდით, და ქედის მოხრით
ვთქვათ პოეზიის უკვდავებისა;

მერე ვადიდოთ ერის მამები,
რომელთაც თვითონ თვლიდა ღმერთებად, —
მათი ცხოვრება და მოწამებრივ
სამშობლოსათვის თავგამეტება;

მერე დავფიქრდეთ საკუთარ ბედზე:
რისთვის ვირჯებით, ვიწვით, ვიღლებით,
ვისზე ვლოცულობთ, როცა ვწერთ ლექსებს,
ვის ვათბობთ ჩვენი ფიქრით, სიმღერით;

დავფიქრდეთ, მიწყივ შევხედოთ ვაჟას
და არამარტო ვიწამოთ მისნად,
დიდების ტვირთქვეშ მხარბეჭის გაშლაც
და ვაჟკაცობაც ვისწავლოთ მისგან!

...დღეს ვაჟას დღეა, ვესტუმროთ ჩარგალს!

**ხუტა ბერულავა,**
**ჩარგლის საპატიო მოქალაქე.**









ჯემალ კასრაძის ფოტო.

## „სიცოცხლის პროგრამა"

# ვირწმუნოთ საკუთარი თავის!

### ტესტი: რამდენად ხართ დარწმუნებული საკუთარ თავში

(მეექვსე გვერდიდან)

როგორც უკვე მიხვდით, ჩვენი ნერვიული ჯანმრთელობა და გუნება-განწყობილება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვართ დარწმუნებული საკუთარ თავში. გთავაზობთ ტესტს იმისთვის, რომ დაადგინოთ, თუ რამდენად ფლობთ თქვენ ამ თვისებას. ეცადეთ, ყველა კითხვას გულახდილად უპასუხოთ.

1. თუ ხდება ხოლმე, როცა მოულოდნელად შეგპარვიათ ეჭვი: ხომ არ დამავიწყდა კარის ჩაკეტვა ან უთოს გამორთვა?
2. ხშირად თუ გიგრძვნიათ მოულოდნელი გადაღლილობა, თუმცა, პრინციპში, არ უნდა დაღლილიყავით?
3. ხშირად გწყდებათ გული ისეთ რამეზე, რაც, ერთი შეხედვით, გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს?
4. აქვს თუ არა თქვენთვის მნიშვნელობა იმას, თუ რომელ რიგში დაიკავებთ ადგილს თეატრში ან საკონცერტო დარბაზში?
5. შიშს ხომ არ გგვრით მოულოდნელი ტელეფონის ზარი?
6. ხომ არ გიჭირთ, განეწყოთ ვიღაცის მოულოდნელი ვიზიტისათვის?
7. შეგიძლიათ თუ არა გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება?
8. გეუფლებათ თუ არა უსიამოვნების გრძნობა თქვენს ტანსაცმელზე ჭუჭყის ლაქის აღმოჩენისას მაშინ, როცა უკვე სახლიდან ხართ გამოსული?
9. გიყვართ ახალი ნაცნობების გაჩენა?
10. თუ ყოფილა, რომ შვებულებაში გამგზავრების წინ გსურდათ მოგზაურობაზე უარის თქმა?
11. თუ გეუფლებათ ზოგჯერ მარტო დარჩენის სურვილი?
12. თუ ხელმძღვანელობთ თქვენი ქცევის დროს ძირითადად იმით, რასაც თქვენგან მოელიან სხვები?



**შეფასების კრიტერიუმი**

1, 2, 3, 4, 5, 6, 10 და 12 კითხვებზე დადებითი პასუხისთვის, აგრეთვე 7, 8, 9, 11 კითხვებზე უარყოფითი პასუხისთვის ჩაიწერეთ თითო ქულა. შეკრიბეთ მიღებულ ქულათა ჯამი.

თუ ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვეთ, თქვენ იმდენად თვითდაჯერებული ყოფილხართ, რომ, ალბათ, მთლად გულწრფელად არ გაეცით პასუხი ყველა კითხვას.

თუ მოაგროვეთ 1-6 ქულა, ალბათ, არ ჩაიდენთ ისეთ საქციელს, რომელიც ახასიათებს არამდგრადი, სუსტი, ნერვიული სისტემის მქონე ადამიანებს. ხოლო ის, რომ მთლად არ ხართ დარწმუნებული საკუთარ თავში, არის არა ნაკლი, არამედ — პირიქით, ადასტურებთ თქვენი ფსიქიკის მოქნილობას. ირგვლივ მყოფ ადამიანებს ყოველთვის შეეძლებათ ჰქონდეთ თქვენი იმედი.

თუ 6-10 ქულა მოაგროვეთ, თქვენი მოთხოვნილება, იყოთ საკუთარ თავში დარწმუნებული, იმდენად დიდია, რომ ხშირად, შესაძლოა, ამა თუ იმ საგანს ხედავდეთ არა ისეთს, როგორიც იგი სინამდვილეშია, არამედ, აღიქვამდეთ მხოლოდ თქვენი წარმოდგენის მიხედვით. თუ იშვიათად მაინც არ გაბედავთ „ნახტომს უცხო სამყაროში", თქვენს ცხოვრებაში, ალბათ, ბევრი ბედნიერი მომენტი ვერ იქნება.

და ბოლოს, თუ 10-12 ქულა მოაგროვეთ, იმდენად დიდი ყოფილა თქვენში შიში ცხოვრების განუჭვრეტელი სიტუაციების მიმართ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაგალითად, აშკარად მოსაგები მდგომარეობა გაქვთ ჭადრაკში ან ბანქოში, მაინც გეშინიათ დამარცხების და ეჭვი გეპარებათ წარმატებაში. სავსებით გასაგებია, რომ თქვენ ესწრაფვით სტაბილურობასა და სიმტკიცეს, მაგრამ გარემოებათა ოდნავმა ცვლილებამაც კი, შესაძლოა, დაგაკარგვინოთ საკუთარი ძალების რწმენა, რომელიც აუცილებლად უნდა განივითაროთ.

## ხსოვნა

### ცისანა რამიშვილი-გედევანიშვილი



გარდაიცვალა აკად. მ. დ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ინსტიტუტის საკონსულტაციო პოლიკლინიკის ექიმი-კარდიოლოგი — ცისანა ბიძინას ასული **რამიშვილი-გედევანიშვილი.**

დაიბადა 1928 წელს, 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1994 წლამდე მუშაობდა კარდიოლოგიის ინსტიტუტში. გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმითა და ინტელექტუალობით, იყო არაჩვეულებრივად ჰუმანური, გულისხმიერი და თავის სპეციალობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. ათეული წლების განმავლობაში კვალიფიციურ დახმარებას უწევდა კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფებს რესპუბლიკის ფარგლებში.

იყო ცნობილი ოჯახის შვილი, მათი ტრადიციების გამგრძელებელი, საუკეთესო მეოჯახე, მოსიყვარულე დედა და ცნობილი კარდიოლოგის ტარიელ გედევანიშვილის ერთგული მეუღლე.

ქალბატონ ცისანა რამიშვილ-გედევანიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომელთა და მადლიერი პაციენტების გულში.

**აკად. მ. დ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი.**

---

რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბესარიონ ხვინთელიანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის

თამაზ ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

კანდიტ და მურმან შენგელაიები, ნანი კორკელია ოჯახებით თანაუგრძნობენ ალექსანდრა, ლელა, ანა, ვლადიმერ ნადარეიშვილებს, ლამარა, ღუღუნი ყურაშვილებს ბატონ

თამაზ ნადარეიშვილის

გარდაცვალების გამო.

---



დედა ქუქუნა კაკაბაძე, შვილები კახა და ლევან სანიკიძეები, დები ლელა, შორენა, ოლიკო, სიძეები ჯემალ ბასილაია, იუზა ოჩხიკიძე, დედამთილი ქეთევან ადეიშვილი, მულები აზა და როზა სანიკიძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დისწულები, მულისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბელა პიტავა-სანიკიძე.

პანაშვიდი 7, 8 IX 18 სთ, დაკრძალვა 9 IX 15 სთ. მის: წერეთლის გამზირი 59, I სად. ბინა 9.

---



სს „ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის" კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ექიმ-ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ქალბატონი

ეთერ ჭყონია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე გრიგორი, შვილი ირინა ვართანოვები, შვილიშვილები იგორი და გრიგორი, სიძე ვან ბაიბურთი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სვეტლანა იაკობის ასული იანოკი.

პანაშვიდი 7, 8 IX 17 სთ. გამოსვენება 9 IX 15 სთ. ჩიტაძის 10.

---



მიხეილ და ლევან ნოზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძისა და ბიძის, ბაღდათის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის

რევაზ (რეზო) ჯანელიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 7, 8 IX 17 სთ, დაკრძალვა 9 IX. 14 სთ. მის: ქ. გორი, ბარნოვის ქ. № 10 ა.

---

~~თსსუ პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრის~~ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გიორგი ტატიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

დღის კალენდარი 7 სექტემბრისთვის

ამოდის 06.31 ჩადის 19.24
ამოდის 01.52 ჩადის 16.54 უკანასკნელი მეოთხედი

წლის 251-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 115 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

ხსენება მოციქულ ბართლომეს წმიდა ნაწილთა გადმოსვენებისა, რომელიც VI საუკუნის დასასრულს მოხდა.

ხსენება წმიდა მოციქულ სამოცდაათთაგან ტიტესი. იგი კუნძულ კრიტოსის მკვიდრი იყო. წმიდანი ბრძნულად უძღვებოდა თავის სამწყსოს და თავდადებით იღვწოდა წარმართთა ქრისტეს სჯულზე მოსაქცევად. წმიდა ტიტემ ბევრი წარმართი გააქრისტიანა. წმიდანი 94 წლისა გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მისი სახე მზესავით განათდა.

ხსენება მღვდელმთავარი მინასი, კონსტანტინოპოლის პატრიარქისა. წმიდა მინას პატრიარქობის დროს კონსტანტინოპოლში მრავალი სასწაული მოხდა. იგი ეკლესიას 16 წელი უძღვებოდა.

### დაიბადნენ:

**1916 — სერგი წულაძე,** ქართველი მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი.

**1908 — იოსებ ბუაჩიძე,** ქართველი გეოლოგი და ჰიდროგეოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**1948 — გივი ჩუგუაშვილი,** მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

**1533 — ელისაბედ I,** ინგლისის დედოფალი, ტიუდორთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

**1870 — ალექსანდრ კუპრინი,** რუსი მწერალი.

**1912 — დევიდ პაკარდი,** ამერიკელი ინჟინერი, ცნობილი ფირმის „Hewlett Packard"-ის დამაარსებელი.

### გარდაიცვალნენ:

**1888 — სოფიო წულუკიძე-გურიელი,** გურიის სამთავროს გამგებელი.

**1907 — სალი არმანდი,** ფრანგი პოეტი, ლიტერატურაში პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1956 — ოტო შმიდტი,** რუსი მეცნიერი-მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოფიზიკოსი. მისი სახელი ეწოდა კუნძულს კარის ზღვაში, კონცხს ჩუკოტკის ზღვის სანაპიროზე და სხვა.

### მოვლენები:

**1822 წელი** — ბრაზილიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**1892 წელი** — პირველი მსოფლიო ჩემპიონი კრივში ჯეიმს კორბეტი გახდა.

**1909 წელი** — ეჟენ ლუფევრი პირველი მფრინავი იყო, რომელიც აეროპლანით ფრენისას დაიღუპა.

**1911 წელი** — ფრანგი პოეტი გიიომ აპოლინერი ციხეში ჩასვეს, რადგანაც ეჭვმიტანილი იყო ლუვრიდან „მონა ლიზას" მოპარვაში.

**1917 წელი** — უმაღლესმა მთავარსარდალმა, გენერალმა კორნილოვმა აჯანყება მოაწყო და პეტროგრადისაკენ ცხენოსანთა კორპუსი დაძრა.

**1952 წელი** — შეიქმნა ინტერპოლი.

**1953 წელი** — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პირველ მდივნად ნ.ს. ხრუშოვი აირჩია.

**1986 წელი** — ეპისკოპოსი დესმონდ ტუტუ, რომელიც კეიპტაუნის არქიეპისკოპოსად დანიშნეს, სამხრეთაფრიკელი ანგლიკანების პირველი შავკანიანი სასულიერო მოძღვარი იყო.

**1997 წელი** — აღინიშნა მოსკოვის 850 წლის იუბილე.

**1940 წელი** — II მსოფლიო ომის დროს ლონდონი ნაცისტებმა დაბომბეს.

### ღირსსახსოვარი დღეები:

**უკრაინა** — დაზვერვის დღე.

**მოზამბიკი** — გამარჯვების დღე.

**ბრაზილია** — დამოუკიდებლობის დღე.

**მედია-ნიუსი.**

---

დედა ანჟელა, მეუღლე ზვიად დადიანი, შვილი დათო დადიანი, და თინა, ძმები ელგუჯა, თემურ თათარაშვილები, დედამთილი ლია დადიანი, მული მანანა დადიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მედეა თათარაშვილი-დადიანი.

პანაშვიდი 7, 8 IX 17 სთ. გამოსვენება 9 IX 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

---

ნათია, გიორგი, მანანა, ნუგზარ ფოფხაძეები თანაუგრძნობენ დათო დადიანსა და თემურ თათარაშვილს დედისა და დის

მედეა თათარაშვილი-დადიანის

გარდაცვალების გამო.

---

წერეთლის გამზირი № 79-ის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ გაიოზის ძე ხუციშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ანზორ ბასილაია.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika